ვერსია

№36 (1677) 27 სექტემბერი 3 ოქტომბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ჯაჭვით ჰყავდა კედელზე მიბმული“ – ძმამ და გაიტაცა

ოჯახური ძალადობის სისხლიანი დეტალები

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მიღწევები იმსახურებს ევროკავშირის დადებით გადაწყვეტილებას!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გაერო-ს 78-ე სესიაზე გამოსვლის მთავარი ეკონომიკური მესიჯები

თაკო ჩარკვიანი: „ზოგი ოპოზიციონერის ცუღლუტური მოძრაობები მაღიზიანებს“

„თუ ლუსტრაცია არ მოვახდინეთ, ვერაფერს მივაღწევთ“

ნათია თურნავა: „საქართველოს ეროვნულ ბანკში კრიზისი არ არსებობს!“

დგას თუ არა საქართველოს ფინანსური სექტორი რისკქვეშ

ვახტანგ გომელაურმა საკანონმდებლო ორგანოში ინტერპელაციის წესით დასმულ კითხვებს უპასუხა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ინტერპელაციის წესით იმყოფებოდა.

ვახტანგ გომელაურმა შოვში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ დეტალურად ისაუბრა და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სტიქიის შედეგად დაღუპულების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა. როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, შოვში მომხდარი სტიქია უდიდესი ტრაგედიაა მთელი ქვეყნისათვის:

„პირველ რიგში, მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი გულწრფელი მწუხარება მომხდარი ტრაგედიის გამო და მივუსამძიმრო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

შოვში მომხდარი სტიქია უდიდესი ტრაგედიაა მთელი ქვეყნისათვის.

სტიქიასთან ბრძოლის დროს, ჩვენ დავკარგეთ ძალოვანი უწყებების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები – პოლიციის მაიორი, მირიან ჭელიძე და თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის თანამშრომელი, თემურ ხარჩილავა. კიდევ ერთხელ, ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს, ახლობლებსა და კოლეგებს. მადლობა მათ, ქვეყნის სამსახურში ყოფნისთვის, მათი დაკარგვა დიდი ტკივილია ჩვენი დიდი ოჯახისთვის“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

სიტყვით გამოსვლისას, ვახტანგ გომელაურმა შოვში, სტიქიის ზონაში ძებნა-შველის ღონისძიებებში ჩართულ ყველა პირს მადლობა გადაუხადა.

„3 აგვისტოს, შოვში, სტიქია ძალიან სწრაფად განვითარდა, ღვარცოფის უზარმაზარი მასა, რომელიც გარემოს დაცვის ექსპერტების პირველადი შეფასებით, დაახლოებით, 5 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენდა, დაიძრა სტიქიის ეპიცენტრის მიმართულებით და დაფარა კურორტ შოვის მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნულ მასაში, რამდენიმე მეტრი მიწის ქვეშ, მოყვნენ ადგილზე მყოფი ადამიანები. ამგვარი სიღრმის ქვეშ, მათი სიცოცხლის გადარჩენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

ძებნა-შველის ოპერაციასა და ამ ოდენობით მიწის მასის დამუშავებას, თავისთავად, დრო სჭირდებოდა. 100-მდე (86 ერთეული) მძიმე ტექნიკის მეშვეობით, მოხერხდა ღვარცოფული მასის სრულად გადამუშავება, რათა გარდაცვლილების პოვნა შეგვძლებოდა.

დღეის მონაცემებით, მაშველების მიერ ძებნა-შველის ღონისძიების შედეგად, აღმოჩენილია 32 ცხედარი და საძიებო სამუშაოები მიმდინარეობს ერთ პირთან დაკავშირებით, რომელიც გაგრძელდება მანამ, სანამ იარსებებს მისი პოვნის თეორიული შანსი.

სამაშველო ოპერაციის დროს ნაპოვნი ცხედრები იმდენად იყო დაზიანებული, რომ გამორიცხულია, გარდაცვალება მომენტალურად არ დამდგარიყო. ცხედრების უმეტესობა არის დანაწევრებული და ფაქტობრივად, მაშველების მიერ ნაპოვნია სხეულის ფრაგმენტები.

ისმოდა სპეკულაციები, რომ ვერტმფრენითა და სითბური დრონებით იყო შესაძლებელი სამაშველო ღონისძიებების დაჩქარება და ამ ადამიანების გადარჩენა. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ პირველ დღეს, ადგილზე მუშაობდნენ ვერტმფრენები და სითბური დრონები, თუმცა ელემენტარული ანალიზიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი მიხვდეს – ვერტმფრენებით ან დრონებით ვინმეს აღმოჩენა შესაძლებელია მხოლოდ მიწის ზედაპირზე, ხოლო მიწისქვეშ მოყოლილთა პოვნა ვერტმფრენით ან დრონით შეუძლებელია.

საზოგადოებამ ნათლად იხილა, რომ ის ადამიანები, რომლებიც მიწის მასის ქვეშ მოყოლას გადარჩნენ, მაშველების, პოლიციელებისა და ადგილზე მყოფი მოქალაქეების მიერ, უვნებლად იყვნენ გამოყვანილები უსაფრთხო ადგილას, პირველივე საათებში, რისთვისაც კიდევ ერთხელ, მინდა, მადლობა გადავუხადო მათ“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

პოლიციამ გლდანში მომხდარი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე ექვსი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ქალაქ თბილისის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გლდანში მომხდარი ძალადობის ფაქტზე, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, ექვსი პირი დაკავეს.

დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული ე.ჩ., 1996 წელს დაბადებული ტ.ხ., 1988 წელს დაბადებული გ.ქ., 1989 წელს დაბადებული ლ.ა., 1997 მ.ს. და 1994 წელს დაბადებული ბ.ა.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, გლდანში, ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ დეპუტატს და მის თანმხლებ პირებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში მონაწილე ექვსი პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე გამოძიება

სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის ფაქტზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე მისულ სამართალდამცველებს დაშავებული პირების მეგობრებმა და თანაპარტიელებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს, მიაყენეს სიტყვიერი, ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფა და წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც პოლიციამ სამი პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დააკავა. ასევე, ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო იმ პირების მიმართაც, რომლებიც სამართალდამცველებს ხელს უშლიდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

დაპირისპირების შედეგად, პოლიციის თანამშრომლებს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებათ.

სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს, პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მიღწევები იმსახურებს ევროკავშირის დადებით გადაწყვეტილებას!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე გამოსვლისას, საქართველოს მიერ გატარებულ ეკონომიკურ და დემოკრატიულ რეფორმებზე, ასევე, ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა და ხაზი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას გაუსვა. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზეც გაამახვილა ყურადღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ დასაძლევად ერთიანი ძალისხმევა მნიშვნელოვანია.

პრემიერ-მინისტრმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობაზე.



რა პოლიტიკური გზავნილები ჰქონდა საქართველოს პრემიერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე

„როგორც მოგეხსენებათ, ჩემმა ქვეყანამ 2008 წელს, განიცადა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია და აგრძელებს მის დესტრუქციულ შედეგებთან გამკლავებას. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია და ასიათასობით ადამიანი სახლებიდან იძულებით არიან გადასახლებულნი.

თავდაჯერებით ვაცხადებ, რომ მიუხედავად გამოვლილი განსაცდელისა, არ შეგვიფერხებია ჩვენი ამბიციების განხორციელება. ჩვენ საქართველო გადავაქციეთ დინამიკურად განვითარებად საზოგადოებად, რომელიც სრულად არის ერთგული გაერო-ს წესდებაში გათვალისწინებული ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების რეალიზაციის იდეისადმი.

საქართველოს კარგად ესმის ომისა და მშვიდობის ფასი. 2012 წლიდან, ჩვენმა მთავრობამ შექმნა და შეინარჩუნა მშვიდობისა და სტაბილურობის უწყვეტი ათწლეული.

მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და გამოვხატო ჩვენი დიდი მადლიერება საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის. მშვიდობიანი არსებობის უზრუნველსაყოფად, მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, დაარწმუნოს რუსეთის ფედერაცია, ჩაერთოს „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში“ და ევროკავშირის შუამავლობით, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება განახორციელოს“, – განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის ტრიბუნიდან, ირაკლი ღარიბაშვილმა აფხაზებსა და ოსებსაც მიმართა:

„მივმართავ ჩვენს აფხაზ და ოს დებსა და ძმებს – ჩვენი ერთიანობის წინააღმდეგი არის ჩვენი საერთო მტერი. ჩვენ ვართ გენიალური ხალხი, რომელსაც წარმოუდგენელი მიღწევები ძალუძს, მაგრამ მხოლოდ ერთად შეგვიძლია უზრუნველვყოთ ხანგრძლივი სტაბილურობა, დიდი ინვესტიციების მოზიდვა და სრული პოტენციალის გამოვლენა, როგორც გაერთიანებულ ერს. არ უნდა დავუშვათ, რომ მშვიდობიანი, სტაბილური და აყვავებული მომავლისკენ დასახული შესაძლებლობა ხელიდან გავუშვათ.

ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, მიზნად ისახავს საქართველოს დაბრუნებას ევროპულ ოჯახში, რომელსაც ვეკუთვნით. 2012 წლიდან, ჩვენი მთავრობის მნიშვნელოვანი მიღწევები, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და უვიზო რეჟიმი, ადასტურებს ჩვენს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტს – გავხდეთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.

გასული წლის ივნისში, საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის აღიარებამ ახალი თავი გახსნა ევროკავშირთან ურთიერთობაში. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ქართველების თითქმის 90% მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას და ჩვენ ურყევი ერთგულება დავადასტურეთ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად განსაზღვრული 12 პრიორიტეტის მიმართ. ძლიერი, ინკლუზიური და გამჭვირვალე შიდა პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, ჩვენ ვახერხებთ, წლის ბოლომდე მათ შესრულებას“.

საქართველოს პრემიერის თქმით, ჩვენი მიღწევები იმსახურებს ევროკავშირის დადებით გადაწყვეტილებას:

„ეგრეთ წოდებული „ასოცირებული ტრიოს“ ქვეყნებს შორის ლიდერის რანგში, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი დაიმსახურა! ველით, რომ საქართველოს თვალსაჩინო შედეგები და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური კონტექსტი სამართლიანად შეფასდება. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ერთადერთი გზაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგსა და გაერო-ს წესდებაში ასახულ ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობასაც შეეხო:

„საქართველო არის საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლიანი წევრი, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს მშვიდობის უზრუნველყოფას მსოფლიოში. ორ ათეულ წელზე მეტია, მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ნატო-ს მისიებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც საქართველოს ერთ-ერთ, ყველაზე დიდ კონტრიბუტორად აქცევს ნატო-ს მისიებში – ერაყსა და ავღანეთში. 32-მა მამაცმა ჯარისკაცმა გაიღო უდიდესი მსხვერპლი ავღანეთში, ხოლო ასობით დაშავდა თავისუფლებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის იდეისთვის. საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენი საერთო ღირებულებებისა და ინტერესების დასაცავად.

ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ევროკავშირის ხელმძღვანელობით განხორციელებულ მისიებში და პირნათლად ვასრულებთ ამ ვალდებულებას.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ გლობალურად ვიბრძვით მშვიდობის, კეთილდღეობის, პროგრესისა და მდგრადობისთვის, მაგრამ გულს გვტკენს გაერო-ს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოხატული აგრესია. უკრაინაში მიმდინარე ომი კვლავ აღვიძებს საქართველოში 2008 წლის ომის ტრავმას.

სრულად ვგრძნობთ იმ ტკივილსა და გაჭირვებას, რომელსაც ამჟამად უკრაინა განიცდის და სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს.

ჩვენ მივუერთდით, მხარი დავუჭირეთ და ხელი მოვაწერეთ 500-ზე მეტ რეზოლუციას, განცხადებას, ერთობლივ კომუნიკეს და სხვა ინიციატივებს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა, მათ შორის, შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა, არაერთხელ შეაქო ჩვენი შესაბამისობა საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან.

ჩემი მთავრობა უკრაინასა და უკრაინელ ხალხს არსებით ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს ომის დაწყების დღიდან. ეს ხდება ქვეყნისა და ინდივიდების დონეზე, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ საქართველოში. ქართულმა სკოლებმა 2 200-ზე მეტი უკრაინელი მოსწავლე მიიღეს და უკრაინულ ენაზე უზრუნველჰყოფენ სწავლებას ოფიციალური, უკრაინული სასწავლო პროგრამით. ჩვენი მთავრობის ფუნდამენტური ფილოსოფია არის ომის აცილება და მშვიდობის უზრუნველყოფა“, – თქვა გაერო-ს სესიაზე ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო წარმოქმნილი გამოწვევების მიუხედავად, მოვახერხეთ ჩვენი ხალხის უსაფრთხოდ ყოფნა უკრაინისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერისას, წინდახედული პოლიტიკითა და პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით“.

ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობის „მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივის“ საფუძველზე, ცხადდება მზაობა, რათა ამ პროცესში ჩაერთონ საქართველოს მეზობლები და მეგობრები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რომ საბოლოოდ, სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდეს.

„ძვირფასო მეგობრებო, საქართველო ყალიბდება მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად. ჩვენმა ფინანსურმა სექტორმა გლობალური აღიარება მოიპოვა და საერთაშორისო ინვესტორებს ვიზიდავთ, რასაც დამატებით კაპიტალი შემოაქვს ჩვენს ეკონომიკაში. ასევე, პრიორიტეტულად გვაქვს მიჩნეული ინვესტიციები ჩვენს ინფრასტრუქტურაში, რათა გაძლიერდეს დაკავშირებადობის უნარი, წარმატებით განვითარდეს ლოგისტიკური და ენერგეტიკული სექტორები“, – განაცხადა პრეიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმითვე, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ:

„ჩვენ ერთგულნი ვართ ქართველი ხალხისთვის კიდევ უფრო დიდი შედეგების მიღწევის იდეისადმი, ხოლო გლობალურ საზოგადოებაში – მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის იდეისადმი. მზად ვართ, გავაძლიეროთ საერთაშორისო პარტნიორობა და თანამშრომლობა უფრო მშვიდობიანი, მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი საერთო თვისება – ადამიანურობა გვაკავშირებს ერთმანეთთან და ჩვენივე კოლექტიური პასუხისმგებლობაა, ერთმანეთი გავაძლიეროთ და ხანგრძლივი მემკვიდრეობა დავუტოვოთ მომავალ თაობებს“.

თაკო ჩარკვიანი: „ზოგი ოპოზიციონერის ცუღლუტური მოძრაობები მაღიზიანებს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ სდევს ქართულ პოლიტიკურ პროცესს მუდმივი დაძაბულობა, აგრესია და ურთიერთდაპირისპირება ბოლო 30 წელია. როგორ უნდა გამოვიდეს საქართველო ამ მოჯადოებული წრიდან და სად არის გამოსავალი? – „ვერსია“ პარტიის „კანონი და სამართალი“ ლიდერს, დამოუკიდებელ დეპუტატ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა:

– 30 წელია, მართლაც, ერთ წრეზე ვტრიალებთ და მეც მიფიქრია, რა გახდა, რით ვერ გავარღვიეთ ეს წრე-მეთქი... მომწონს გზა, რომელიც ბალტიის ქვეყნებმა აირჩიეს. იმას კი არ ვამბობ, რომ იმ პერიოდში, ვინც „დავერბოვკებული“ ჰყავდა რუსეთის უშიშროებას, კედელთან მიაყენეთ, დახვრიტეთ და დაიჭირეთ-მეთქი, მაგრამ არ მინდა დავივიწყო, რომ ჩვენ ვართ პოსტსაბჭოური ქვეყანა. შესაბამისად, წარმოიდგინეთ, როგორ ექნებოდა გადგმული ფესვები რუსეთს, ეს მისი მუშაობის შედეგია და ა, ბატონო, ნახეთ – ჩვენმა უმსხვილესმა პარტნიორმა, აშშ-მა ხელი დაადო საქართველოს გენერალურ პროკურორს „ეფ-ეს-ბე“-სთან თანამშრომლობაში. თუ ქონებრივ დეკლარაციასაც გადავხედავთ, რა ქონებას ფლობდა ფარცხალაძე, მიხვდებით, რომ ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ რუსეთთან ჰარმონიულად შერწყმული პერსონაა, რადგან მოგეხსენებათ, რუსეთში ოლიგარქიული და დიქტატორული მმართველობის ფონზე, ყველა ბიზნესს აკონტროლებს „ეფ-ეს-ბე“ და შესაბამისად, იმხელა ქონების დაგროვება რუსეთის ტერიტორიაზე, რაც ფარცხალაძეს აქვს, რომელიც უქონელი მოვიდა... ფაქტებით ვსაუბრობ, მისი დეკლარაციიდან გამომდინარე...

აქედან დასკვნა – თუ „ეფ-ეს-ბე“-სთან კავშირებში მხილებული გენპროკურორი ჰყავდა საქართველოს, წარმოიდგინეთ, რომ ბრალი წაყენებული, მათ შორის, მესამე პრეზიდენტსაც, ვის მიერ აქვს? „ეფ-ეს-ბე“-ს მიერ წაყენებული ბრალია. აქ არის ძაღლის თავი დამარხული, ჩვენ ვერ დავძვრებით ვერასდროს რუსეთის კლანჭებიდან, თუ უპირველეს ყოვლისა, არ გათავისუფლდა სასამართლო, პროკურატურა ამ ტიპის მმართველობისგან და როგორ გათავისუფლდება, თუ იმ გზას არ დავადექით, რაც ბალტიის ქვეყნებმა გააკეთეს?

– რას გულისხმობთ?

– როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა იქ და რუსეთს დააღწიეს თავი, სხვათა შორის, ძალიან გონივრულად და რბილად გააკეთეს ეს, დაიბარეს გარკვეული ადამიანები და შესთავაზეს პენსიაზე ღირსეულად გასვლა, ქვეყანაში დარჩენა და ვისაც ძალიან დიდი პრობლემები ჰქონდა, შესთავაზეს დატოვება ანუ მათ შესთავაზეს, ჩახსნოდნენ საქმიანობას. მოკლედ, შესთავაზეს პენსიაზე გასვლა ან დატოვება, რასაც შემდეგ მოჰყვებოდა სამართლებრივი დევნა, თუმცა იქამდე პატიოსნად გაუწიეს ანგარიში, რომ საბჭოური გადმონაშთი იყვნენ და მომწონს ეს გზა... თუ ლუსტრაცია არ მოვახდინეთ, ვერაფერს მივაღწევთ...

არც პრეზიდენტს მინდა, ხელი დავაფარო. ის ლაპარაკობს დასავლურ ენაზე, მაგრამ ყველა ფაქტი არის ნაკარნახევი „ოცნების“ მიერ, რადგან ყველა კანდიდატი, რომელიც სადმე წარუდგენია, არის ისეთი, რომელიც უნდა „ოცნებას“, თუმცა მის იმპიჩმენტს არ ვემხრობი, რადგან არ მინდა, ამ ხელისუფლებამ თავისას მიაღწიოს... ისედაც უბიძგებენ, რომ საქართველომ საგარეო კურსი შეიცვალოს და ამიტომ არ მინდა, ასე მოხდეს, თორემ არ იწვევს სალომე ზურაბიშვილი ჩემში ნდობას. თუ ასე უწევს დასავლეთს ანგარიშს, შეეწყალებინა სააკაშვილი! არ მჯერა ამ ქალბატონის და ამიტომ ვივლით კიდევ 30 წელი ერთ წრეზე, თუ არ მოხდა რბილად ლუსტრაცია...

„თუ ლუსტრაცია არ მოვახდინეთ, ვერაფერს მივაღწევთ“

– თქვით, რომ ბალტიის ქვეყნებმა მშვიდად მოახერხეს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა, საქართველოში კი ეს პირიქით – სისხლისღვრითა და ქაოსით მოხდა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმას, რაც დღესაც ხდება, რომ ასეთ მწვავე დაპირისპირებას იწვევს რუსეთის საკითხი პოლიტიკოსებს შორის? სად ხედავთ გამოსავალს?

– ძალიან მაგარი კითხვა დამისვით, ამაზე მთელი კვლევა მაქვს ჩატარებული. 1989 წელს, 8 აპრილს, ორად ორი ადამიანი იყო და ინტელიგენციიდან მხოლოდ ერთი კაცი იყო ჯანსუღ ჩარკვიანი, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს... დანარჩენები ტაშის გრიალით შეხვდნენ. ეს ჯუმბერ პატიაშვილის დაკითხვის ოქმშიცაა. მაშინ ეროვნული მოძრაობა და გარკვეული ადამიანები ერთად იყვნენ. მაქვს ჩანაწერები 1988 და 1990 წლების, სადაც ჯერ კიდევ მამა და გამსახურდია კარგად არიან და არ არის განხეთქილება. ვაკის პარკის უზარმაზარი მიტინგი ბატონმა ზვიადმა მამას წააყვანინა, ჯანსუღს სთხოვა და ეს იყო იმის ნიშანი, რომ ეს ადამიანები ერთად იყვნენ. დედაჩემი ამბობს, რომ იმ მიტინგმა განსაზღვრა მათ შორის დიდი განხეთქილება.

– რადგანაც ეს ერთობა არ აწყობდა რუსეთს?

– რა თქმა უნდა და რუსეთზე მომუშავე აქ მყოფ ადამიანებს. პასუხისმგებლობა და შეცდომა ორივე მხარესაა. ჩვენ, განა, არ წამოვეგეთ, მაგრამ ვერ იტყვი, რომ ბრალეულობა მხოლოდ ერთ მხარესაა, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი რომ ხარ, კიდევ უფრო მეტი მოგეთხოვება. ჩვენც ავყევით იმ პროვოკაციებს, მეორე მხარეც აჰყვა და მოხდა ის უბედურება, რაც, რა თქმა უნდა, გამოიყენა რუსეთმა. ამ გადასახედიდან მიიოლდება, რადგან ერთხელ გაივლის სახედარი ტალახში და მეორედაც ადამიანმა ხომ არ უნდა გაიარო?! ამიტომ, მე ის მიკვირს, ადამიანები ამას როგორ ვერ ხვდებიან. სულ არის საუბარი „პუტჩზე“, მე არასდროს გავურბივარ ამაზე საუბარს, მაგრამ ჩემს თვალწინ ხდებოდა ადამიანების გადაკიდება ერთმანეთზე. მამა ორჯერ იყო ზვიადის თავდები და წარმოიდგინეთ, უცებ აღმოვჩნდით სხვა მხარეს... ეს აწყობდა რუსეთს...

ახლა კი პირდაპირ ლუსტრაცია ხდება, მაგრამ ცოტა ვართ ქართველები და არ მინდა, ასეთ დროსაც კი ვიღაც უკიდურესად გაისრისოს, მაგრამ ამ პირობებში ხომ ვერ მოახერებ ვერანაირი ლუსტრაციის კანონის მიღებას, თუ რეფორმა არ ჩაატარე და დამოუკიდებლად არ აქციე სასამართლო და პროკურატურა?!

ამიტომ, ყველას ვეუბნები ხოლმე, არც ერთი იმ ოპოზიციონერის არ დაიჯეროთ, რომელიც მოსვლას აპირებს და თავს არ იკლავს, რომ უპირველესად, მოხდეს სისტემური, სამართლებრივი პროკურატურა-სასამართლოს რეფორმა. ზოგი ოპოზიციონერის ცუღლუტური მოძრაობებიც მაღიზიანებს – თუ იბრძვი, გულწრფელად, ნაღდად უნდა იბრძოლო, როგორც იდეალისტმა. ამას ხალხი გრძნობს... რომ ვთქვი, ქუჩაში გამოვიდეთ-მეთქი, ატეხეს ქილიკი, აბა, ლეიბები და კარვებიო, მე უკან დახევა არ მიყვარს. თუ ხვდები, რომ ქვეყნის გადაბარება მიდის რუსეთზე, კეთილი უნდა ინებო და ქუჩა გააძლიერო, თუ არადა, ამასაც გრძნობს ხალხი და იმიტომაცაა, რომ გარეთ აღარ გამოდის! როცა იგრძნეს გულწრფელობა, ვნახეთ, რამდენი ადამიანი გამოვიდა. მაშინ სწორად გამოვიტანეთ მესიჯი გარეთ და გამოეფინნენ კიდეც ახალგაზრდები.

შოვის ტრაგედიაზე რომ ვთქვი, გამოვიდეთ-მეთქი, ახლა არ არის დროო, ერთმანეთს აჰყვნენ. პოლიტიკურმა ლუზერმა, ალეკო ელისაშვილმა როგორ უნდა აგაგდოს, ოპოზიცია რომ ხარ?! რას ჰქვია, არ გამოხვიდე?! იმას კი არ ვამბობ, რომ შოვის ტრაგედიის მაგვარი სხვაგან არ ხდება, მაგრამ ღამეაო!!! ვინ მოიფიქრა ეს, მაინტერესებს... თითქოს, ოპოზიციაშიც ერთმანეთის აზრის მძევლებად იქცევიან ხოლმე. ვერასდროს, ვერავინ მაქცევს რამე აზრის მძევლად. ერთი აზრი ვიცი – უნდა გამოვძვრეთ, უნდა მოხდეს ლუსტრაცია და საქართველოს 80%-ს რომ უნდა დასავლეთი, ოპოზიცია რომ ხარ, ე.ი. რაღაცას სწორად ვერ აკეთებ, რომ ეს ხალხი გარეთ გამოიყვანო. ქუჩამდე საქმე მივა, მელია იყო და ცვლიდა იმხელა აქციებს... ხალხი გრძნობს, რა არის ნამდვილი, გულწრფელი და გაუმარჯოს ამ გულწრფელ ხალხს! როცა საჭიროებას ხედავენ, გამოდიან...

– როდესაც რბილ დამოკიდებულებაზე საუბრობთ, სწირედ ამას გულისმხობს დეპოლარიზაციის პუნქტი ევროკავშირის დათქმიდან და ამიტომაა გულსატკენი, რასაც პროდასავლელი პარტნიორები ხედავენ – ხელჩართულ ჩხუბს პარლამენტში. თქვენი ხედვით, სად არის გადაკვეთის წერტილი, სადაც ყველა შეთანხმებას მოახერხებს, რათა პროცესი დეპოლარიზაციისკენ წავიდეს?

– შემთხვევით არ დავიწყე საუბარი სალომე ზურაბიშვილზე. ის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელსაც „ოცნება“ იყენებს სათავისოდ... სამომავლოდ, უეჭველად დამარცხდება რუსეთი და სალომე ზურაბიშვილს საკუთარი თავისთვისაც მოსწონს ეს პოზიცია, რასაც აჟღერებს, მაგრამ არაფერს აკეთებს და „ოცნებასაც“ მოსწონს მისი მოთამაშე, გაყვანილი დასავლეთში, რადგან როდესაც რუსეთი დიდ მარცხს იწვნევს, სჭირდება ადამიანი დასავლეთის გზაზე. დასანქცირება არავის უნდა, ძალიანაც ეშინიათ... ამიტომ, ჩემთვის გამოსავალია ეს – ქუჩაში უნდა გამოვიდეს ხალხი, რათა გათავისუფლდეს სიტემა. როგორც კი ვაიძულებთ ხელისუფლებას, რომ გათავისუფლდეს და გახდეს დასავლური ტიპის სამართლებრივი სისტემა, იმ დღიდან, საქართველოში მოხდება გარდატეხა.

ქუჩაში გამოსვლა ამისთვის უნდა მოხდეს და არა იმისთვის, მოუგებელ ბრძოლაში ოპოზიცია წინასწარ იყოფს რაღაცებს. რას იყოფენ, რა არის გასაყოფი? რა მოგიგია, რომ? მილიონნახევარი დარჩა საქართველო და ესენი თავის პროცენტებს ითვლიან! იბრძოლე, რა, ნამუსიანად და სწორად! გამოსავალს ვხედავ სამართლებრივი სისტემის რეფორმებში.

რას ერჩიან „ლეიბორისტები“ სალომე ზურაბიშვილს

გიორგი გუგავა: „სპეცდავალებების შემსრულებელია“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე „ვერსია“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას ესაუბრება:

– ბატონო გიორგი, ბოლო დროს, მედიამ აიტაცა შალვა ნათელაშვილის კომენტარი ხელისუფლების განცხადებაზე, რომელიც სალომე ზურაბიშვილის შესაძლო აგენტობას ეხებოდა...

– გამოვიდნენ და პირდაპირ დაასახელეს აგენტის ზედმეტსახელი. არ ვიცი, მოგონილია თუ ნამდვილი, მაგრამ თუ ასე ფიქრობდნენ, მაშინ საპრეზიდენტო კანდიდატად რატომ დაასახელეს? რატომ გამოაკრეს საკუთარი სურათები, ტოტალურად რატომ გააყალბეს არჩევნები და რატომ დასვეს პრეზიდენტად? – ასეთი ურცხვობა ამ ხელისუფლებას ახასიათებს.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ჩვენი დამოკიდებულება ცალსახაა და ეფუძნება ობიექტურ მოცემულობას – ის წარმოადგენს ივანიშვილის სპეცდავალებების შემსრულებელს, გაამწესა ივანიშვილმა დასავლეთის მიმართულებით. მოგახსენებათ, რეალურად, რუსული ადმინისტრაცია სისტემურად მართავს დღეს საქართველოს, პრაქტიკულად, სუვერენიტეტი ამ ქვეყნისა გაყიდეს და რაც ემუქრებათ სანქცირების სახით, ცდილობენ, სალომე ზურაბიშვილი გამოიყენონ ამ მიმართულებით... შესძინონ მას მაღალი ლეგიტიმაცია დასავლეთში, რათა თავი გადაირჩინონ ამ სანქციებისგან. ეს ფუნქცია გააჩნია სალომე ზურაბიშვილს და შემიძლია, ამის ობიექტური მტკიცებულებებიც მოგიტანოთ.

– რა მტკიცებულებებზე საუბრობთ?

– როცა ვამბობ, რომ „ოცნების“ სპეცდავალებებს ასრულებს სალომე ზურაბიშვილი, ამის უტყუარი მაგალითებიდან პირველია გარეჯის საქმე. ალბათ, გახსოვთ, ჩაფრინდა პრეზიდენტი ბაქოში, შეხვდა ილჰამ ალიევს და განაცხადა, რომ აუცილებელია, საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაცია. ჯერ ერთი, ეს არ შედის სალომე ზურაბიშვილის ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებში; მეორე, წლებია, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დელიმიტაცია-დემარკაცია არ მომხდარა და იმ სადავო მონაკვეთზე თავისუფლად გადადიოდნენ მომლოცველები, სასულიერო პირები და ა.შ. ამის შემდეგ, ქალბატონი პრეზიდენტი გარეჯში ჩავიდა სამხედრო ფორმით, გააკეთა სულელური განცხადებები, რამდენიმე საათში კი უდაბნოს მონასტერი და ჩიჩხიტურის კოშკი დაიკავეს და დღემდე ჩაკეტილია ანუ წაართვეს საქართველოს. ეს იყო სპეცადავალება, რომელიც მან შეასრულა და თუ რამეზე უნდა გამოეცხადოს იმპიჩმენტი სალომე ზურაბიშვილს, სწორედ ამ საქმეზე.

მეორე მტკიცებულება – როდესაც კრიზისში იყო ხელისუფლება, გახსოვთ, ნათელაშვილის „ფანჩატური“, არ იკრიბებოდა პარლამენტი, არ ჰქონდა ლეგიტიმაცია, რადგანაც ტოტალურად იყო არჩევნები გაყალბებული. სალომე ზურაბიშვილმა თავისი კავშირებით ჩამოიყვანა შარლ მიშელი, ხელი მოაწერინა ცნობილ დოკუმენტზე და შეყარა ოპოზიცია პარლამენტში, „გააპრავეს“ გაყალბებული არჩევნები და ამის შემდეგ, ის დოკუმენტი თავზე გადაახიეს...

– ანუ, ოპოზიცია რომ მაშინ პარლამენტში ერთი-მეორეს მიყოლებით შევიდა, ესეც სალომე ზურაბიშვილის ბრალია?

– რა თქმა უნდა, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის.

– შესაძლოა, კეთილი მიზნით ჩამოიყვანა შარლ მიშელი, რათა ის დამაკავშირებელი ყოფილიყო ბოიკოტში მყოფ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის...

– ვარაუდები პოლიტიკაში არ ხდება, გესაუბრებით შემდგარ ფაქტებზე. ამის გარდა, სალომე ზურაბიშვილი, თავის დროზე, ჩავიდა აშშ-ში, შეხვდა სალივანს, უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს, მაშინ სანქციების პირველი ტალღა დაწყებული იყო და დაარწმუნა ბატონი სალივანი, რომ დასავლური კურსი კონტროლს ექვემდებარებოდა და ა.შ.

და რაც მთავარია, ვხედავთ, ნათია თურნავამ როგორი სპეცდავალება შეასრულა, ასევე, ამ კრიტიკულ სიტუაციაში, სანქციების დროს, როცა დარტყმის ქვეშ დააყენა მთელი ქვეყანა და განაცხადა, ჩვენ სანქციებს არ ვასრულებთო. ის წარდგენილია სალომე ზურაბიშვილის მიერ. ახალი შემადგენლობაც, რომელიც წარდგენილია – ყეინიშვილი და კობახიძის მეჯვარე, ეროვნული ბანკის საბჭოში წევრებად... ვინ წარადგინა? – სალომე ზურაბიშვილმა. ახლაც ვინ არ შეუწყვიტა საქართველოს მოქალაქეობა ბატონ ფარცხალაძეს?

– პრეზიდენტმა გამოაქვეყნა განმარტება ამ ბოლო საკითხზე...

– აბსოლუტურად უაზრო განმარტებები. მოქალაქეობა თუ შეუწყდება, რა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს?! რა მნიშვნელობა აქვს, გინდა – საქართველოს მოქალაქე იყოს, გინდა – სხვა ქვეყნის, გნებავთ, მოქალაქეობის არმქონე პირი იყოს, თუ მას ჩადენილი აქვს დანაშაული ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ექვემდებარება მართლმსაჯულებას. სინამდვილეში, ეს მოქალაქეობა შეუნარჩუნა იმის გამო, რომ, როგორც ჩანს, რაღაც შავი საქმეები კიდევ აქვს ოთარ ფარცხალაძეს ამ ქვეყანაში განსახორციელებელი. ესეც დავალება იყო...

აქედან გამომდინარე, ზოგი ოპოზიციონერივით რომ გამოაცხადეს დასავლეთის მედროშედ და ისე გაგვიძღვება ევროპისკენ, როგორც თავის დროზე მოდიოდა წმინდა ნინოს ჯვრით, გახსოვთ, ხომ, პილიგრიმობა რომ დაიწყო?.. ეს არის აბსურდი და მეტყველებს ამ ოპოზიციის სიბრიყვეზე, ანდა, უარეს შემთხვევაში, ხელისუფლების თამაშს თამაშობენ შეგნებულად.

– ოპოზიცია თამაშობს ხელისუფლების თამაშს?

– რა თქმა უნდა და ეს ბევრ რამეში გამოიხატება. დაწყებული, გაყალბებული პარლამენტის „გაპრავებიდან“, დამთავრებული იმით, რომ სალომეს წარმოგვიჩენენ ხელისუფლების მთავარ დაპირისპირებულ მხარედ და დასავლეთის მედროშედ.

– ბატონო გიორგი, წელან იმპიჩმენტის თემაც ახსენეთ და პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებიც... იურისტი ბრძანდებით და მართებულად მიგაჩნიათ მიზეზი, რის გამოც მმართველი ძალა სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს ითხოვს?

– მოდით, ამას შევხედოთ არა სამართლებრივი, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისით. სამართალი, კონსტიტუცია და კანონები, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდიათ, როცა მათი ინტერესია. აქ არის ორი ფაქტორი – ან უნდათ, რომ დასავლეთის თვალში ლეგიტიმაცია აუწიონ სალომე ზურაბიშვილს, რათა მეტი დამაჯერებლობა ჰქონდეთ და „ლოცვად მუხლმოყრილნი“ დაეცნენ მისი რეზიდენციის წინ ოპოზიციონერები, რომლებიც რამდენიმე თვის წინ, მას აგენტს ეძახდნენ.

მეორე – თუ მას იმპიჩმენტი გამოუცხადეს, ჩაუყენებს ე.წ. პროდასავლურ ჯგუფს სათავეში, მოუყრის თავს მის ირგვლივ ამ ე.წ. ოპოზიციის ნაწილს, რათა არ დაიკარგოს პროდასავლურად განწყობილი ხმები საპარლამენტო არჩევნებისთვის და მერე გაიყვანს პარლამენტში, შეკრავენ კოალიციურ მთავრობას და იქნებიან იგივენი და იგივენი...

– ანუ, ოპოზიციასთან შეთანხმებით ხდება ყველაფერი ეს?

– შეთანხმებით, ილუზორული წარმოდგენები გააჩნიათ, თუ სხვა გზა ვერ ნახეს, რამენაირად შევიდნენ პარლამენტში, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, გეუბნებით ფაქტებს, რომლებიც მეტყველებს, რომ ასეთი ოპოზიციონერები მუშაობენ ხელისუფლებაზე. საბოლოო ჯამში, სასარგებლო იდიოტის როლს თამაშობენ, თუ შეგნებულად და ანგარების მოტივებით აკეთებენ, ამაზე შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ასეთ სიტუაციაში თამაშობენ ხელისუფლების თამაშს.

საბოლოო ჯამში, სხვა რამე გამოვიდა? აღიარებულიც აქვს „ოცნებას“, რომ მათთვის ყველაზე დიდი კრიზისი, სწორედ ის „ფანჩატური“ იყო, როცა ლეგიტიმაციის პრობლემა ჰქონდათ და იძულებულნი გახდებოდნენ, რომ არა სულმოკლეობა ოპოზიციისა და საკუთარი სიტყვის გატეხვა, ჩატარდებოდა ხელახალი არჩევნები და არ ვიქნებოდით ასეთი ეგზისტენციალური პრობლემის – ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე.

შევიდნენ პარლამენტში და რა გააკეთეს? ერთხელ ვერ ჩამოაყალიბეს საგამოძიებო კომისია. ქვეყნისთვის რამე პოზიტიური შედეგი დადგა მათი პარლამენტში შესვლით? გაჯანსაღდა საარჩევნო, ან სასამართლო სისტემა? გარდა იმისა, რომ კარგად, თბილად მოიწყვეს საკუთარი მდგომარეობა და ხშირად ხელისუფლებასთან ერთადაც მშვენივრად დადიან მივლინებებში.

– ბატონო გიორგი, 2024 წლის არჩევნებისთვის თქვენს პარტიას რა სტრატეგია აქვს – აპირებთ მონაწილეობას, ახალი პირობების გათვალისწინებით?

– ლეიბორისტულ პარტიას აქვს ერთადერთი გეგმა, რომელიც გამოიხატება ორ რამეში – ჩვენ ვმუშაობთ სანქციების მიმართულებით. აუცილებელია, დასავლეთმა სანქცირება მოახდინოს, რათა მოხდეს რეჟიმის პარალიზება და ჩამოინგრეს გაყალბების სისტემა.

მეორე საკითხი – ჩვენს ქვეყანას ახლა სჭირდება ეროვნულ-სოციალური ძალა, ისეთი, როგორიც არის ლეიბორისტული პარტია. რაც შეიძლება დიდი ძალით მოვიდეთ, რათა საშუალება გვქონდეს კოალიციური მთავრობის ფორმირებისა, გვინდა, „პირველი ვიოლინო“ ვიყოთ ამ სიტუაციაში.

– ე.ი. ფიქრობთ, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვა თქვენი პარტიისთვის პრობლემა არ იქნება?

– ლეიბორისტულ პარტიას არასდროს ჰქონია ბარიერის პრობლემა, თუ არჩევნები იქნება ოდნავ სამართლიანი და ჩვენი მიზანია, სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

– მხოლოდ სანქციების მეშვეობით ცდილობთ, ამ მიზანს მიაღწიოთ?

– სანქციები გარედან და აქციები შიგნიდან. ხომ ხედავთ, როგორ ჩავარდნენ შოკში ფარცხალაძეზე... აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სანქციები იქნება ეფექტური და ამას უნდა დაემატოს შიდა, საზოგადოებრივი წინააღმდეგობა. ეს არის ის კომბინაცია, რომელიც გადატეხავს ამ ხელისუფლებას.

„საქართველო ყალიბდება მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად, ჩვენმა ფინანსურმა სექტორმა გლობალური აღიარება მოიპოვა და საერთაშორისო ინვესტორებს ვიზიდავთ“

მაკა რუხაძე

„მე წარმოვადგენ საქართველოს – ძლიერ ერს, რომელიც აფასებს თავისუფლებას, ეთაყვანება თავის მდიდარ მემკვიდრეობას და ისწრაფვის პროგრესისკენ მუდმივად ცვალებად გეოპოლიტიკურ ვითარებაში. როგორც მოგეხსენებათ, 2008 წელს, ჩემმა ქვეყანამ განიცადა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია და აგრძელებს მის დესტრუქციულ შედეგებთან გამკლავებას. რუსეთის ფედერაციის მიერ, საქართველოს ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია და ასიათასობით ადამიანი სახლებიდან იძულებით არიან გადასახლებულნი“, – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში, გაერო-ს 78-ე სესიის გენერალურ დებატებზე.

პრემიერის განცხადებით, საქართველოს კარგად ესმის ომისა და მშვიდობის ფასი და დასძინა, რომ 2012 წლიდან, ჩვენმა მთავრობამ შექმნა და შეინარჩუნა მშვიდობისა და სტაბილურობის უწყვეტი ათწლეული. მისივე თქმით, ქვეყანა სრულად გრძნობს იმ ტკივილსა და გაჭირვებას, რომელსაც ამჟამად უკრაინა განიცდის და სრულ სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს: „ჩვენ მივუერთდით, მხარი დავუჭირეთ და ხელი მოვაწერეთ 500-ზე მეტ რეზოლუციას, განცხადებას, ერთობლივ კომუნიკეს და სხვა ინიციატივებს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა, მათ შორის, შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა, არაერთხელ შეაქო ჩვენი შესაბამისობა საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან“. სწორედ ამგვარი, პრაგმატული საგარეო პოლიტიკის შედეგად, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულში, ქვეყანამ ეკონომიკური ზრდა შეინარჩუნა. „ვერსია“ ირაკლი ღარიბაშვილის გაერო-ს 78-ე სესიაზე გამოსვლის ეკონომიკურ ნაწილს გთავაზობთ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გაერო-ს 78-ე სესიაზე გამოსვლის მთავარი ეკონომიკური მესიჯები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ხოლო 2021-2022 წლებში, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი 10%-ს აღემატება. ეს პოზიტიური ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 2023 წელსაც და საშუალო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 7%-ს მიაღწია.

„ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მნიშვნელოვანი ზრდა ჩემი მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა. 2012 წლიდან, მშპ ერთ სულ მოსახლეზე თითქმის გაორმაგდა. ვიმედოვნებთ, რომ ეს პოზიტიური ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივლისში, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, რაც თითქმის 90%-იანი ზრდაა 2012 წელთან შედარებით. უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლები ისტორიულ მინიმუმზეა. World Justice პროექტის 2022 წლის კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში პირველ ადგილს იკავებს. Fraser Institute-ის 2022 წლის ანგარიშის – „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება“ – მიხედვით, საქართველო ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა 15 სახელმწიფოს შორის, ხოლო Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, საქართველო 21-ე ადგილს იკავებს ევროპაში, 2023 წლის მდგომარეობით და ევროკავშირის 11 წევრ სახელმწიფოს უსწრებს. 2023 წელს, Crime Index საქართველოს, მსოფლიოში ერთ-ერთ, ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ასახელებს, რადგან გლობალურ ჭრილში – მე-18 ადგილზე, ხოლო ევროპის მასშტაბით – მე-8 ადგილზე ვართ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, 2022 წელს, მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც პირველი, გრძელვადიანი პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტია. ის მოიცავს რეფორმების ყოვლისმომცველ კომპლექტს, რომელიც ისეთ სფეროებს ეხება, როგორებიცაა ეკონომიკა, სოციალური პროგრესი, ჯეროვანი მმართველობა, მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა. ეს ჩარჩო დოკუმენტი 2030 წლამდე განხორციელდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხებით, „მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივის“ საფუძველზე, საქართველოს მთავრობა აცხადებს მზაობას, რათა ამ პროცესში ჩართონ კოლეგები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდეს.

„ძვირფასო მეგობრებო, საქართველო ყალიბდება მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად. ჩვენმა ფინანსურმა სექტორმა გლობალური აღიარება მოიპოვა და საერთაშორისო ინვესტორებს ვიზიდავთ, რასაც დამატებითი კაპიტალი შემოაქვს ჩვენს ეკონომიკაში. ასევე, პრიორიტეტულად გვაქვს მიჩნეული ინვესტიციები ჩვენს ინფრასტრუქტურაში, რათა გაძლიერდეს დაკავშირებადობის უნარი, წარმატებით განვითარდეს ლოგისტიკური და ენერგეტიკული სექტორები. სტრატეგიულ სატრანსპორტო დერეფნებს ვანვითარებთ აზიასა და ევროპას შორის გადამწყვეტი კავშირების დასამყარებლად. საქართველოს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივასა და ინფრასტრუქტურულ პროექტში აძლიერებს ამ კავშირს და ხელს უწყობს ვაჭრობას შავი ზღვის რეგიონში“.

პრემიერმა აღნიშნა, რომ შუა დერეფანი გამოჩნდა, როგორც უსაფრთხო და საიმედო მარშრუტი, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს. საქართველომ ხელი მოაწერა სრულყოფილ საგზაო რუკებს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან, რათა აღმოიფხვრას დაბრკოლებები და გამყარდეს შუა დერეფანი 2022-2027 წლებში. ეს საგზაო რუკები ითვალისწინებს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, საოპერაციო ოპტიმიზაციასთან, ერთიანი სატარიფო პოლიტიკის შემუშავებასთან, დერეფნის გაციფრულებასთან და მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებასთან.

„აღმოსავლეთის დასავლეთთან კავშირის გაძლიერების მიზნით, 2015 წელს, საქართველომ დააარსა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ და ასე შექმნა საერთაშორისო პლატფორმა მაღალი რანგის პოლიტიკოსებს, ბიზნეს-წრეებსა და საზოგადოების ლიდერებს შორის დიალოგისთვის. წელს, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ 26-27 ოქტომბერს გაიმართება და მასში, დაახლოებით, 2 000 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის იქნებიან 60-ზე მეტი ქვეყნის მაღალი რანგის ოფიციალური პირები და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები“.

გაერო-ს 78-ე სესიაზე, ირაკლი ღარიბაშვილმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ, საქართველომ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება დაიწყო. მათ შორისაა, რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, რომლის შედეგადაც, 2024 წლის ბოლოსთვის ანუ პროექტის დასრულების შემდეგ, სისტემის გამტარუნარიანობა გაორმაგდება. რაც შეეხება ანაკლიის ახალი, ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, პრემიერ-მინისტრის თქმით, ის უხლოეს მომავალში დაიწყება და იქვე დასძინა, რომ ეს პროექტი საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. მისივე თქმით, ეს მწვანე ველი მოიაზრება საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის პროექტად, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე ღრმაწყლოვან პორტს შექმნის.

ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მთავრობა აუმჯობესებს ქვეყნის საჰაერო დაკავშირებადობას და ამ მიზნით, თბილისში, ახალი საერთაშორისო აეროპორტი შენდება. პრემიერის განცხადებით, ახალი აეროპორტი მსოფლიო დონის სატრანსპორტო კვანძი იქნება, რომელიც განამტკიცებს საქართველოს, როგორც გლობალური ავიაციის გამორჩეული მოთამაშის სტატუსს.

„გარდა ამისა, ამჟამად უკვე ხორციელდება ევროკავშირის ფლაგმანური, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მშენებლობის პროექტი, რომელიც საქართველოს მიერ არის ინიციირებული. ეს პროექტი გულისხმობს მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის მშენებლობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან, სამხრეთ კავკასიის რეგიონის დასაკავშირებლად. პროექტის განხორციელება გააძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ევროპასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას და ახალ შესაძლებლობებს შექმნის ამ ორ რეგიონს შორის ტრანზიტისთვის.

ვაღიარებთ ენერგიაზე მზარდ მოთხოვნასაც და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საჭიროებას; აქტიურად ვახორციელებთ ახალ წამოწყებებს განახლებადი ენერგიის სფეროში, მათ შორის – წყლის, ქარის, მზისა და სხვა მდგრადი წყაროების ათვისებით. ჩვენი მიზანია, მოვიზიდოთ ინვესტორები და ხელსაყრელი გარემო შევქმნათ ინოვაციური ელექტროსადგურების შესაქმნელად, ქვეყნის უხვი მწვანე ენერგიის პოტენციალის გამოყენებით“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ყველა ეს ტრანსფორმაციული პროექტი ახალ სამუშაო ადგილებს, ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას მოუტანს, როგორც ხალხს, ასევე, რეგიონს. მისივე თქმით, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და დასძინა, რომ ქვეყანა მზადაა, გააძლიეროს საერთაშორისო პარტნიორობა და თანამშრომლობა უფრო მშვიდობიანი, მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.

ნათია თურნავა: „საქართველოს ეროვნულ ბანკში კრიზისი არ არსებობს!“

მაკა რუხაძე

დგას თუ არა საქართველოს ფინანსური სექტორი რისკქვეშ

რევოლუციური სცენარი ფარცხალაძის ფაქტორით ჩაიშალა. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაინახა და რაც მთავარია, დარწმუნდა, რომ ოპოზიცია უსუსურია. მეტიც, მავნებლობასაც არ ერიდება და მზადაა, საკუთარი მიზნების მისაღწევად, ქართული ეკონომიკის ისეთი მდგრადი დარგის აყირავებაც კი სცადოს, როგორიც საბანკო-საფინანსო სექტორია. ქართული ეკონომიკის იმიტომ, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე, ბიზნესის თუ რომელიმე დარგი მუშაობს გამართულად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მყარად – ეს საბანკო სექტორია. დიახ, იმ შავ-ბნელ 90-იანებში, საბჭოთა მანეთის კუპონად გარდაქმნის, ამის შემდეგ კუპონის ჰიპერინფლაციისა და ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული საეჭვო რეპუტაციის კომერციული ბანკების ფონზე, რომლებიც დომინოს პრინციპით, ხელის ერთი მოსმით ჩამოიშალნენ და თან გაიყოლეს ათასობით მოტყუებული ჩვენი მოქალაქეების ცოდვა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და სხვა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით, 90-იანების შუა წლებში შეიქმნა ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, შედეგად, ეროვნული ბანკიც წელში გაიმართა, საბანკო სექტორიც და გაუფასურებული კუპონიც ეროვნულმა ვალუტამ – ლარმა შეცვალა. რაც შეეხება ორგანულ კანონს ეროვნული ბანკის შესახებ, ეს იმდენად სერიოზული დოკუმენტია, რომ საბანკო სექტორს, ვერავინ ააყირავებს, მით უფრო, ვერ ჩამოშლის. ლარის კურსის ორდღიან, რამდენიმე პუნქტით გაუფასურებას კი გამოიწვევს, მაგრამ ნუ აღელდებით – ეროვნულ ბანკს ხელოვნური რყევების შეკავების რეგულაციებიც გააჩნია. მოკლედ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქცირებული, ექს-პროკურორი ოთარ ფარცხალაძე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სანქციებისგან იქამდე „გაათავისუფლა“, ვიდრე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას ქვეყნის მართლმსაჯულებაც დამნაშავედ არ სცნობს. ნათია თურნავას ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა პოლიტიკოსებისა და ცალკეული ექსპერტების კრიტიკა და მეტიც – რევოლუციის ანუ არეულობისა და დაპირისპირების მორიგი უშედეგო, არაფრისმთქმელი, ულიმღამო და უკვე აშკარად მოსაბეზრებელი მცდელობა.

ამასობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, მაკა ცინცაძის საავტორო გადაცემაში „აქტუალური შაბათი“, დეტალურად ისაუბრა, რით იხელმძღვანელა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. განმარტა, დგანან თუ არა საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები რისკქვეშ და აზიანებს თუ არა ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ქვეყნის რეპუტაციას.

დავიწყოთ იმით, რომ თავისი ბუნებით, სანქციები ერთგვარი პოლიტიკური ზომაა. შესაბამისად, სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილებას – გვარისა და სახელის მიუხედავად, დაეცვა საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, აუცილებლად მოჰყვებოდა კრიტიკა:

„სხვადასხვა პოლიტიკოსი გვაკრიტიკებდა მანამდეც, ვიდრე ეს გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული და მერეც გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ არაფერი ამდაგვარი ჩვენზე არ მოქმედებს. გვსიამოვნებს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მშვიდად ვხვდებით ასეთ კრიტიკას. ისევე, როგორც შექება არ გვსიამოვნებს და არ გვჭირდება არავის დაცვა. ჩვენ ყველა კითხვაზე თავად გავცემთ პასუხს. აქედან გამომდინარე, ეს მეორე ფაქტიც არანაირად არ იყო გადამწყვეტი ჩვენ მიერ გადაწყვეტილების მიღებაში. თუმცა საყურადღებო იყო იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთხელ დაგვანახა, ეს საკითხი ცხელია და პოლიტიკურად არის აჟიტირებული თემა. ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა იქნება და ვიდრე სანქციების აღსრულებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის ურთიერთშესაბამისობის შესახებ დისკუსია გასცდებოდა ცალკეულ გამოსვლას თუ განცხადებას, ჩვენ მივხვდით, რომ რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გვემოქმედა. გადაწყვეტილებით პრევენციაც გავაკეთეთ უფრო დიდი დისკუსიის გაჩენის და, ზოგადად, კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების, რამდენად სწორად ვიქცევით აღსრულების მექანიზმების დონეზე“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მას შემდეგ, რაც სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოს მოქალაქის უფლებები დაიცვა, ქვეყნის პრეზიდენტმა ჯერ თავადვე მოსთხოვა იუსტიციის სამინისტროს, ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვათ, მაგრამ როგორც კი იუსტიციის სამინისტრომ შესაბამისი პროცედურები წამოიწყო, სალომე ზურაბიშვილმა მოულოდნელად გადაწყვიტა, რომ ოთარ ფარცხალაძეს მოქალაქეობას არ ჩამოართმევდა. სინამდვილეში, ნათია თურნავამ ფარცხალაძის, როგორც საქართველოს მოქალაქის უფლება დაიცვა, მაგრამ თუ სალომე ზურაბიშვილი მას მოქალაქეობას ჩამოართმევდა, საერთაშორისო სანქციები ავტომატურად ამოქმედდებოდა.

კითხვაზე, გამოჩნდა თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ის, რომ ფარცხალაძის დასანქცირება არ იყო მნიშვნელოვანი და ეს იყო არა სამართლებრივი, არამედ, პოლიტიკური გადაწყვეტილება, რადგან ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის არშეწყვეტით პრეზიდენტმა მას, ფაქტობრივად, მისცა სხვადასხვა ტიპის ოპერაციის თავისუფლად განხორციელების საშუალება, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ ის საკითხს პოლიტიკურად არ შეაფასებს:

„ამას შეგნებულად არ გავაკეთებ იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ არის ჩვენი მანდატი და ეს არ არის ეროვნული ბანკის საქმე. იმიტომ, რომ ეს არის პოლიტიკოსის ქმედება და პოლიტიკური მანევრები, რომელზეც მე ვერანაირ შეფასებას ვერ გავაკეთებ. ერთადერთი, უბრალოდ, ვიტყვი: თავად ფაქტმა, რომ ეს პირველი გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქის სანქცირებასთან დაკავშირებით შეეხო ფარცხალაძეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, გაართულა მუშაობა და დაამძიმა ფონი, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია? სანქცირებულთა სიაში აუცილებლად მოხვდებოდა მსგავსი პიროვნება, რომელიც ცნობადია პოლიტიკურად, რომლის ირგვლივაც აუცილებლად იქნებოდა მითქმა-მოთქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ინსინუაცია. მე ვამბობ იმას, რომ თავად სანქციები თავისი ბუნებით არის პოლიტიკური ზომა და იქ გარკვეული პოლიტიკური შეხედულებებით, მათ შორის პოლიტიკური მოტივაციით, გარკვეული ჟღერადი ბრალდებებით ან მოტივებით ხვდება ადამიანი. ეს უკვე თავიდანვე განაპირობებს იმას, რომ საკითხი იქნება აუცილებლად სენსიტიური. აბა, ნობელის პრემიის ლაურეატი ხომ არ მოხვდება სანქცირებულების სიაში?! იქნება აუცილებლად ვიღაც, ვის ირგვლივაც იქნება ასეთი მძიმე აჟიტირებული ფონი“.

მისივე თქმით, „მძიმე და აჟიტირებული ფონის“ მიუხედავად, ეროვნული ბანკი არ უნდა შეშინდეს და არც დაბრკოლდეს. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფარცხალაძესთან დაკავშირებით, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დასძინა, საკითხების კიდევ უფრო სიღრმეში წასვლას არ დაელოდა:

„ჩვენ არ მოვერიდეთ სენსიტიურ თემას, ჟღერად სახელსა და გვარს და მივიღეთ გადაწყვეტილება არა კონკრეტული სახელისა და გვარისთვის, რომელიც არ გვაინტერესებს, არამედ, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელიც შეიძლება, როდესმე აღმოჩნდეს სანქცირებულების სიაში, რომ მის მიმართ სანქციების აღსრულების პროცესში, ასევე გარანტირებული იყოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის აღსრულება“.

რაც შეეხება ქვეყანას, ნათია თურნავას განცხადებით, საქართველო იყო, არის და მომავალშიც იქნება საერთაშორისო სანქციების ერთგული. დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანა მიერთებულია აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის სანქციებს. მისივე

დასასრული მე-8 გვერდზე

ნათია თურნავა: „საქართველოს ეროვნულ ბანკში კრიზისი არ არსებობს!“

მე-7 გვერდიდან

თქმით, სანქციების პრაქტიკა ახალი რეალობაა, ხვალ და ზეგ არ დასრულდება და უახლოესი წლების განმავლობაში იარსებებს, რაც შეიძლება, გაფართოვდეს, ან შეიცვალოს. სწორედ ამიტომ, სანქციების აღსრულების საკითხი თავშივე მოსაგვარებელია:

„დღეს სანქციების მიმღები არის ევროპული ქვეყნები, აშშ... თუმცა, თეორიული შანსი დავუშვათ, რომ ხვალ, რაღაც ახალი გეოპოლიტიკური მოვლენიდან, სხვა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, რომელიმე სხვა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი საგაჭრო პარტნიორი ქვეყანა ასევე მიიღებს სანქციებს, რომელსაც საქართველო გადაწყვეტს და მიუერთდება. პირობითად, ძალიან თეორიული მაგალითი ავიღოთ, რომ ინდოეთი ან თურქეთი მიიღებს სანქციებს და ხომ შეიძლება, ისე მოხდეს, მიზანშეწონილი იყოს, ამ სანქციებს ჩვენც მივუერთდეთ? წარმოიდგინეთ, ასეთ დროს რა ხდება. ჩვენ თუ გავაგრძელეთ სანქციის ეს ე.წ. ბლანკეტური ანუ მექანიკური, ავტომატური აღსრულება ისე, რომ ჩვენთან, ადგილზე არც მოკვლევა გაკეთდა, არც ჩვენი სამართალწარმოებით გათვალისწინებული პროცედურები ჩატარდა, არც დასაბუთება მოვიპოვეთ, არც სასამართლო განხორციელდა და ასე ავტომატურად აღვასრულეთ, როგორც აქამდე ხდებოდა, გამოდის, რომ სულ უფრო მეტი სახელმწიფოს მიმართ, პრაქტიკულად, უნდა დავთმოთ ჩვენი სამართალწარმოების სუვერენული უფლება. სხვა ქვეყნის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით, პრაქტიკულად, ბრმად უნდა მოვთხოვოთ ჩვენს საფინანსო სისტემას, რომ მან აღასრულოს ეს ისე, რომ ჩვენი კანონმდებლობა, პრაქტიკულად, განზე დარჩება ამ პროცესიდან. ეს ძალიან ბევრ კითხვას უკვე იწვევდა, ძალიან ბევრ კითხვას გამოიწვევდა მომავალში და ჩვენ ამის პრევენცია გავაკეთეთ“.

ნათია თურნავამ ისიც აღნიშნა, რომ სანქციების აღსრულების პრაქტიკა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რაც უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ეს პროცესი ყველგან ავტომატურად, ერგვაროვნად, ან ერთდროულად ვერ და არ ხდება. ამასთან, თურნავამ ისიც დასძინა, რომ ვინაიდან სხვა ქვეყნები ახერხებენ კარგი ბალანსის პოვნას, საქართველომაც ამ ბალანსისკენ გადგა ნაბიჯი. მისივე თქმით, არსებობს გამონაკლისი და ისეთი გადაწყვეტილებები, რომ ადამიანი, როგორი სანქცირებულიც არ უნდა იყოს, თუნდაც ჰუმანიტარული მოსაზრებით, არ უნდა იყოს ერთბაშად მოწყვეტილი ყველა საფინანსო სერვისიდან.

მას შემდეგ, რაც ნათია თურნავას გადაწყვეტილებამ სრულიად ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები შოკში ჩააგდო, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, არჩილ მესტვირიშვილმა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ისედაც 2023 წლის დეკემბერში ეწურებოდა. არჩილ მესტვირიშვილის გზას სებ-ის კიდევ ორი ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მრჩეველი, გიორგი ბაქრაძე გაუყვნენ – ერთმანეთის მიყოლებით, დაწერეს განცხადებები და პოსტები დატოვეს. თუმცა, მნიშვნელოვანია საზოგადოებას შევახსენოთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, უახლესი ორი თვის მანძილზე – ამ შემთხვევაში, 21 ნოემბრამდე, ისინი ავტომატურად ინარჩუნებენ ამ პოსტებს.

კითხვაზე, რით იხელმძღვანელეს გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სამმა წევრმა და ერთმა მრჩეველმა, როდესაც მათ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით განაცხადეს – პოლიტიკური მიზანშეწონილობით, თუ საკუთარი არგუმენტების სამართლებრივი დასაბუთებით, ნათია თურნავამ უპასუხა:

„ჩემს ყოფილ კოლეგებზე, მეგობრებზე მიჭირს საუბარი. შეიძლება, მქონდეს ჩემი, რაღაც მოსაზრებები და მოტივაციის გაგება ასევე მიჭირს. ეს არ იყო ჩვეულებრივი შემთხვევა. ამ შემთხვევამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია თვითონ ჩვენი თანამშრომლობის მოტივაციაზე და, თავისთავად, გააჩინა კითხვები. იმიტომ, რომ სამი ვიცე-პრეზიდენტის ასე ერთად წასვლა ინსტიტუციიდან, რა თქმა უნდა, არის მძიმე ფაქტი, მაგრამ მე არ შევალ ამის პოლიტიკური საფუძვლების სპეკულაციაში. უბრალოდ, ვერ შევალ, სიმართლე გითხრათ. მეც მიჭირს ახლა ჩემს ყოფილ კოლეგებზე ასე საუბარი“.

საზოგადოებას აინტერესებს, ემუქრება თუ არა საფრთხე ეროვნული ბანკის საბჭოს ფუნქციონირებას და იყო თუ არა ერთგვარად პოლიტიზებული საბჭოს ახალი წევრების (ნანა ყეინიშვილი და თემურ ხომერიკი) დანიშვნის პროცესიც, რომლებიც პრეზიდენტმა ჯერ წარადგინა, შემდეგ კი გაწვევას აპირებდა და, გავრცელებული ინფორმაციით, არჩევის შემდეგ, ისინი პრეზიდენტმა დაიბარა და სთხოვა, აღნიშნული თანამდებობა არ დაეკავებინათ, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ საბჭო არის ქმედუნარიანი, ხოლო პოლიტიკოსის ქმედებებში და მოტივაციაში შესვლა უჭირს:

„ეს მეც მსმენია მედიიდან. მე ჯერ არ მქონია ამ ადამიანებთან ურთიერთობა და როდესაც ისინი უკვე ფიზიკურად შემოგვიერთდებიან და სხდომები გვექნება, ალბათ, ამის შესახებ თვითონ მოჰყვებიან. თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი და, როგორც ჩანს, ჰქონდა, მე ძალიან მიჭირს ამის ახსნა, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნამდვილად არ ყოფილა არავის ჩართულობა და ჩარევა ამ ორი კანდიდატის შერჩევაში. ეს იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მან თავად შეარჩია და თავად ჩათვალა, რომ ეს ადამიანები შესაფერისი არიან, ჩვენი „ბორდის“ წევრები გამხდარიყვნენ. მიჭირს ამის ახსნა, ერთი თუ ორი კვირის წინ წარდგენილი ადამიანები უცებ რატომ გახდნენ უკან გასაწვევი, რისი უფლებაც, სხვათა შორის, არც ჰქონია პრეზიდენტს და, რა თქმა უნდა, ეს ასე არც მოხდებოდა, მაგრამ ფაქტია, ამ ადამიანების დამატებით, ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებებთან დაკავშირებით შესაძლო კითხვები, პრაქტიკულად, ჩავხურეთ. საბჭო არის ქმედუნარიანი. რთული მოცემულობის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულ ბანკში კრიზისი არ არსებობს! ყველა თავის საქმეს ასრულებს და ეროვნული ბანკი მოწოდების სიმაღლეზეა“.

კითხვაზე, როგორ აფასებს ბოლო დღეების განმავლობაში, ცალკეული ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და პროგნოზებს, რომ მოქალაქეები მნიშვნელოვნად დაზარალდებიან, რომ „სვიფტის“ სისტემიდან ჩაიხსნება ქართული ბანკები, მოქალაქეებს შეეზღუდებათ საკუთარ ანაბრებსა და დანაზოგებზე წვდომა, ვერ გამოიყენებენ პლასტიკურ ბარათებს, ვერ მიიღებდნენ გზავნილებს, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ პროგნოზს ვერ დაარქმევს იმას, რა აპოკალიფსური სურათიც სხვადასხვა უპასუხისმგებლო ადამიანმა დახატა, რადგან ეს შეფასებები მთლიანად პოლიტიზებული იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონია რეალობასთან.

სამართალი

№36 27 სექტემბერი 2023 წ

„ჯაჭვით ჰყავდა კედელზე მიბმული“ – ძმამ და გაიტაცა

ოჯახური ძალადობის სისხლიანი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ოჯახური ძალადობა თანამედროვე ცხოვრებაში ისე შემოიჭრა, უკვე არავის არაფერი უკვირს. არც სამართალდამცავები მალავენ, რომ გამოძახებათა უმრავლესობა, სწორედ ოჯახური ძალადობების გამოა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, არცთუ იშვიათად, არასრულწლოვნები, რომლებსაც გარდამავალი ასაკი აქვთ, ფიქრობენ, რომ მშობლები მტრები არიან და ხმის ნებისმიერ აწევაზე, 112-ში რეკავენ, მშობელი მჩაგვავსო და... ძალოვნები იძულებულნი არიან, რეაგირება ჰქონდეთ.

პოლიციის განყოფილებაში 60 წლამდე ქალი მივიდა და განაცხადა, ჩემი მეზობელი გაიტაცეს და სანამ მოკლავენ, ეგებ, უშველოთო.

„მე კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე ვარ. ასე, ორი-სამი თვის წინ, ჩვენთან ახალი ოჯახი გადმოვიდა, ერთი შეხედვით, ნორმალური ცოლ-ქმარი. მე რაღაც ინიციატივისთვის ხელმოწერებს ვაგროვებდი და მათთანაც დავაკაკუნე. კარი ქმარმა გამიღო, მითხრა, კალამს მოვიტანო, ჩემმა აღარ დაწერა. ოთახიდან რაღაც კვნესა გავიგონე, შევედი და ცოლი ჯაჭვით ჰყავდა კედელზე მიბმული, კედელში კი სპეციალური რკინის რკალი იყო ჩაბეტონებული. გავოცდი, კაცს ვუსაყვედურე, მაგრამ იმან მითხრა, შენი საქმე არ არისო. მერე, ქალმაც მთხოვა, არავის არაფერი უთხრა, ასეა საჭიროო. გავიდა რამდენიმე დღე და ეს ქალი ჩემთან მოვიდა, იქნებ, პოლიციაში გამყვე, აღარ შემიძლია, ქმარი ყოველდღე მცემსო. წამოვედით, მაგრამ სანამ გაჩერებაზე მივიდოდით, მოსახვევიდან რაღაც მანქანა გამოვარდა, ორივეს დაგვეჯახა და სანამ გრნობას დავკარგავდი, დავინახე, რომ ჩემი მეზობელი მანქანაში ჩატენა ვიღაც კაცმა და წაიყვანა. ვიღაც კაცს იმიტომ ვამბობ, რომ პირბადე ეკეთა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი ქმარი იყო. როგორც კი აზრზე მოვედი, არავისთვის არაფერი მითქვამს, პირდაპირ თქვენთან წამოვედი“, – განაცხადა ქალმა.

ადგილი, სადაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ვიდეოთვალებით არ იფარებოდა, მაგრამ სამართალდამცავებმა მალევე ნახეს ორი თვითმხილველი, რომლებმაც ქალის მონაყოლი დაადასტურეს. სამწუხაროდ, ორივე მოწმე ასაკში იყვნენ, მოშორებით იდგნენ და ამიტომ, მხოლოდ ის თქვეს, რომ მანქანა უცხოური მარკის, მუქი ფერის იყო. მათ არც ნომერი დაუნახავთ და ვერც ავტოს მოდელზე თქვეს რამე საინტერესო. ერთი ამბობდა, მგონი, „მერსედესი“ იყოო, მეორე ამტკიცებდა – „ფოლკსვაგენიო“ (ძიების ბოლოს გაირკვა, რომ „ოპელი“ ფიგურირებდა) და ამიტომ, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კამერების ჩანაწერებში, სწორედ ამ ორი მარკის ავტომობილის ძებნა დაიწყეს, თუმცა საინტერესოს ვერაფერს მიაგნეს.

სამაგიეროდ, მიაგნეს გატაცებულის ქმარს, რომელიც სამსახურში იმყოფებოდა და როცა უთხრეს, თქვენი მეოღლე გაიტაცესო, ამ ამბავს მშვიდად შეხვდა, მერე კი პოლიციელებს უთხრა, მთელი ცხოვრება ვეჭვობდი, რომ საყვარელი ჰყავდა, ალბათ, ეს გატაცება გაითამაშა და მასთან ერთად გაიქცაო. გადაამოწმეს ქმრის ალიბიც, რომელიც ფოლადივით მტკიცე იყო – მთელი ამ დროის განმავლობაში, ის სამსახურში, საკუთარ კაბინეტში იმყოფებოდა, ორი თათბირიც ჩაატარა და რაც მთავარია, ყველაფერს მის კაბინეტში დამონტაჟებული ვიდეოკამერა იღებდა. კითხვაზე, რატომ იყო კაბინეტში კამერა, მისმა მეპატრონემ მშვიდად უპასუხა – ადრე, ერთი თანამშრომელი მიჩიოდა სექსუალური შევიწროვების გამო, ის პროცესი მოვიგე და თავის დაზღვევის მიზნით, კაბინეტი არა მარტო ხილული, არამედ, უხილავი კამერითაც მაქვს აღჭურვილიო. სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ ქმარი არ ტყუოდა, მაგრამ დიდად არც შეშფოთება ეტყობოდა, ხოლო როცა ცოლზე ძალადობაზე დაუსვეს კითხვა, გაიღიმა და მოწმე მომიყვანეთო, ისე თქვა, გამომძიებლებს მიახვედრა, ცოლი აუცილებლად მოსაძებნი იყო. სწორედ იმ დროს, როცა პოლიცია ქმრის კაბინეტის დატოვებას აპირებდა, ოთახში ახალგაზრდა ბიჭი შემოვარდა, გატაცებულის ქმარს ეცა და ცემა დაუწყო. სამართალდამცავებს გვარიანი შრომა დასჭირდათ მის დასაშოშმინებლად და როგორც შემდეგ გაირკვა, მოსული მისი ცოლის ძმა იყო. ის ბოლო ხმაზე ყვიროდა, ჩემი და სად გააქრე, არ გაპატიებ, მოგკლავო. როცა მისი მეტ-ნაკლებად დამშვიდება მოხერხდა, გამომძიებლებს იქვე მოუყვა:

„ჩემი და ნაცემი ხშირად მინახავს, ეს ნაგავი რამდენჯერმე გავაფრთხილე, აღარ გაეკარო-მეთქი, ერთი-ორჯერ ვიჩხუბეთ კიდეც, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. დას ოჯახის დანგრევა არ სურდა, საბოლოოდ კი, აი, სადამდე მივედით. ამან გაატაცებინა ჩემი და და მოაკვლევინებს კიდეც“...

გატაცებული ქალის ქმარი ცოლის ძმას ირონიულად უყურებდა, მერე კი პოლიციელებს მიუბრუნდა.

„ეს სულიერი ერთადერთი რამის გამო ვერ მიტანს – ბიზნესი ერთად დავიწყეთ, მერე, ამან გადაწყვიტა, რომ საქმე წამგებიანი იყო და თავისი წილი გაიტანა, მე კი მთელი ქონება ბანკში ჩავდე, ფული ბიზნესში ჩავაბრუნე და დღეს დიდ ფულს ვშოულობ. ეს კი, როგორი მათხოვარიც ადრე იყო, ახლაც ისეთივე დარჩა. როცა საქმე ავაწყვე, მოვიდა და უკან დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ ერთადერთი მიზეზი მაინც მითხარით, რატომ უნდა დამებრუნებინა? ახლა ეს ტაქსაობს და მადლობა მითხრას, მაგის დას ცხოვრების ადამიანური პირობები რომ ჰქონდა. სწორედ იმას ვერ იტანს, მე რომ გამიმართლა და მაგას არა“, – განაცხადა მან.

ასე იყო თუ ისე, სამართალდამცავებმა ცოლის ძმა კაბინეტიდან გაიყვანეს და გატაცებული ქალის ძებნა დაიწყეს. კვალი, უბრალოდ, გამქრალი იყო, ვერც ვერავინ ნახეს ისეთი, რამე ახალს რომ ეტყოდა. ძმა კი მართლაც მოუშორებელი ჭირი აღმოჩნდა, დღეში რამდენჯერმე მიდიოდა პოლიციაში და დის ამბავს კითხულობდა, ობლები ვართ, ჩემს მეტი არავინ ჰყავსო. გამომძიებლები თავს იმტვრევდნენ, სამი დღე გავიდა მომხდარიდან და წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს. ამ დროს, როგორც ხდება ხოლმე, გამომძიებელი საქმეს ახლიდან სწავლობს და ყველა დეტალს ახლიდან ჩაჰკირკიტებს, იქნებ, სადმე რამე გამორჩა. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა დამნაშავე, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომას არ უშვებს, მაგრამ ბევრი ქექვის მიუხედავად, საქმეში ახალი ვერაფერი ნახეს. საქმეს თვალი სხვა გამომძიებლებმაც გადაავლეს, მაგრამ მდგომარეობა უიმედო იყო – ახალი ვერც მათ აღმოაჩინეს, ან კი რა უნდა აღმოეჩინათ, მთავარი მოწმე ახალს ვერაფერს იხსენებდა, ორ მოხუცს კი, რომლებიც მომხდარს შეესწრნენ, რაც ნახეს, ლამის, ისიც დავიწყებული ჰქონდათ. ახლო-მახლო კამერებზე მუქი „მერსედესი“ და „ფოლკსვაგენი“ კი ნახეს, მაგრამ მათ მფლობელებს ქალთან შეხება არ ჰქონდათ. დაინტერესდნენ სხვა მუქი ავტომობილებითაც, თუმცა ის, რაც კამერების კვადრატში მოხვდა, გამოძიებისთვის საინტერესო არ იყო.

ყველაფერთან ერთად, გამოძიებას ნერვებს დაკარგულის ძმაც უშლიდა, რომელმაც საიდანღაც გამომძიებლის ტელეფონის ნომერიც გაიგო და ხან ურეკავდა, ხან მესიჯებს უგზავნიდა, განყოფილებაშიც ხშირად მიდიოდა და... ერთ-ერთი ასეთი მისვლის დროს, გამომძიებელს კითხვა გაუჩნდა – საიდან გაიგო დის გატაცების ამბავი ახალგაზრდა მამაკაცმა, როცა მისი მეზობელი, ამხანაგობის თავმჯდომარე, ავარიის დროს მიღებული ტრავმის გამო, საავადმყოფოში იყო, მეტმა კი არავინ არაფერი იცოდა. ის რომ არ დაეფრთხოთ, არაფერი ჰკითხეს, მაგრამ თვალთვალი დააწესეს. ძმა ზღვის დასახლებაში, რაღაც ფიცრულსა თუ მიწურში მარტო ცხოვრობდა და ოპერმუშაკებმა დარეკეს, საღამოს სახლში რომ მივიდა, მხოლოდ ერთი კაცისთვის სამყოფი საჭმელი არ მიუტანიაო. დაახლოებით, ნახევარ საათში, ოპერებმა ისევ დარეკეს და დახმარება ითხოვეს – ძმის სახლთან მისი სიძე ანუ გატაცებული ქალის ქმარი გამოჩნდა და სახლში შევიდა. სანამ დახმარება მივიდოდა, სახლიდან გამოსული განწირული ყვირილის გამო, ოპერები იარაღმომარჯვებულები შევარდნენ. მათ წინ საოცარი სურათი გადაიშალა – გატაცებული ქალი რკინის ლოგინზე იყო დაბმული, მისი ქმარი სისხლში ცურავდა, ძმას კი ხელში დანა ეჭირა. სამართალდამცავებმა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს, ძმას დანა წაართვეს, ხოლო როცა გოგოს ახსნა დაიწყეს, იმან ბოლო ხმაზე იყვირა, ჩემი ძმა დაიჭირეთ, თორემ მომკლავსო. ძალოვნებმა ბიჭს ბორკილები დაადეს.

„ჩემი ქმარი არასდროს მიყვარდა, ჩემმა ძმამ შემტენა ცოლად, აქაოდა, მერე გაეყრები და ქონების ნახევარს გაუყოფო. ვერ გეტყვით, ქმარმა რამე იეჭვა თუ მერე მოიფიქრა, მაგრამ საქორწინო კონტრაქტი შევადგინეთ და დაშორების შემთხვევაში, მე არაფერი მრჩებოდა. სახლში ჩვეულებრივი დიქტატორი მყავდა, მცემდა, მამცირებდა, მაგრამ ძმა მეუბნებოდა, ცოტა მოითმინეო. მერე ეს გატაცების გეგმა მოიფიქრა, მე ვუთხარი, ამაში მონაწილეობას არ მივიღებ, პოლიციაში მივდივარ-მეთქი და გზიდან სწორედ მან მომიტაცა. გეგმის მიხედვით, რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი ქმრისთვის უნდა დაერეკა, შენი ცოლი ჩემთან მოვიდა და სალაპარაკო გვაქვსო. ჩემს ქმარს მოკლავდა, მერე მე მომკლავდა, ვენებს გადამიჭრიდა, ვითომ ქმარიც მე მოვკალი და ვენებიც მერე გადავიჭერი და როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, ყველაფერი მას დარჩებოდა. ჩემი ქმარი დედისერთაა, მეც, ძმის გარდა, არავინ მყავს“, – არეულად ლაპარაკობდა ქალი.

დაჭრილი გადარჩა, მაგრამ ერთი ფილტვი ისე ჰქონდა დანით დაზიანებული, ამოაჭრეს, გატაცებული ქალის ძმას კი, მკვლელობის მცდელობისთვის, სულ რაღაც, 7 წელი ერგო.

მკვლელობა მილიციის განყოფილებაში

ვინ იყო კაცი, რომელიც საკუთარ შვილს აუპატიურებდა და რომელიც ციხეში მოკლეს

ბათო ჯაფარიძე

უბნის რწმუნებული – თანამდებობა თუ „ზვანია“, რომელიც კომუნისტების დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა კავშირის არაერთ ქვეყანაში, ეს ინსტიტუტი მთელი თავისი „მშვენიერებით“ არის შენარჩუნებული. საქართველოში კი... ზოგადად, საქართველოში, უბნის რწმუნებულების აბსოლუტურ უმრავლესობას კუკარაჩას ეძახდნენ, ახლა კი ეს ინსტიტუტიც მოშლილი თუ არაეფექტიანია. უბნის რწმუნებული იყო ყველა და ყველაფერი – მართლაც, დედა და მამა მოზარდებისთვის. უბნის რწმუნებული ვალდებული იყო, სცოდნოდა ყველაფერი, რა ხდებოდა, სად ხდებოდა, როგორ ხდებოდა და მისი წვლილი გამოძიების საქმეში განუსაზღვრელი იყო. სწორედ უბნის რწმუნებულების ინფორმაციის საფუძველზე იხსნებოდა არაერთი საქმე და იხსნებოდა მოკლე დროში...

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, თბილისის ერთ-ერთ რაიონში, საკუთარ ოთახში (უბნის რწმუნებულებს ოთახები ჰქონდათ), უბნის ადგილობრივი რწმუნებული მოკლული იპოვეს. მას დანა ზურგში ჰქონდა დარტყმული და ექსპერტმა პირველივე შეხედვაზე თქვა – მკვლელი მამაკაცია, რადგან დანა, ლამის ტარიანად არის ჩამალული სხეულშიო. იყო ვერსია, რომ შეიძლება, მამაკაცი კარგად ნავარჯიშებ ქალსაც მოეკლა, მაგრამ ეს ვერსია გამოირიცხა, რადგან არც უბნის რწმუნებული იყო დაბალი და სავარაუდოდ, არც – მკვლელი, რადგან დანა ჰორიზონტარულად იყო შერჭობილი და მკვლელი სიმაღლით მსხვერპლს არ ჩამოუვარდებოდა. ასეთი გაბარიტების ქალები კი თითზე დასათვლელნი იყვნენ – თან მაღლები, თან საოცრად ნავარჯიშები...

„მე ვიცი, ვინც მოკლა უბნის რწმუნებული. ჩვენი მეზობელი კაცი ცოლს ურტყამდა, ამ უბედურმა რამდენჯერმე გააფრთხილა, ბოლოს კი, ნერვები ვეღარ მოთოკა და ხელიც შემოარტყა, ნახე, როგორია ცემაო და ის კაცი დაემუქრა, აუცილებლად მოგკლავო. ჰოდა, დღეს დილით, სწორედ ის კაცი დავინახე ამის ოთახიდან რომ გამორბოდა“, – განაცხადა ერთ-ერთმა მცხოვრებმა და ძალოვნებმაც მასზე ძებნა გამოაცხადეს. მამაკაცი დის ოჯახში დააკავეს და როგორც კი მან სამართალდამცავები დაინახა, ყვირილი ატეხა, მე არ მომიკლავსო ანუ მან ზუსტად იცოდა, რომ უბნის რწმუნებული გარდაცვლილი იყო.

„გარდაცვლილმა პირობა ჩამომართვა, რომ ცოლს აღარ შევეხებოდი და მხოლოდ ამ შემთხვევაში შემეძლო ოჯახში დაბრუნება. მარტო პირობას არ დასჯერდა, მითხრა, მოდი, ხელწერილი დამიწერეო და იმისთვის მივედი. ოთახის კარი რომ შევაღე, იატაკზე ეგდო, ზურგიდან კი დანის ტარი მოუჩანდა. მაშინვე გამოვიხურე კარი და გავიქეცი“, – განაცხადა დაკავებულმა და ექსპერტმაც დაბეჯითებით თქვა, ეს ჩია ლოთი დანას ისეთი სიძლიერით და თანაც იმ სიმაღლეზე, ჰორიზონტალურად ვერ მოიქნევდა, ამისთვის სკამზე უნდა შემდგარიყო და ორი ხელით დაერტყა, თან გარდაცვლილიც შესაბამის მანძილზე უნდა მდგარიყო, რაც გამორიცხულიაო.

დაკავებული გაუშვეს და ახალი ვერსიაც მაშინვე გაჩნდა – აგენტურის ცნობით, ბოლო დროს, უბანში ნარკოტიკების გასაღების შემთხვევები გახშირდა და უბნის რწმუნებული ამბობდა, მალე გავალ „ბარიგის“ კვალზე და ციხეში ჩავაყუდებო. სავარაუდოდ, მან ნარკოდილერებს მიაგნო და გაასაღეს.

ეს ვერსია გამოძიებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო – მათ ნარკოტიკების გამსაღებლები უნდა ეპოვათ და სავარაუდოდ, მკვლელების კვალზეც გავიდოდნენ. დაიწყო უბნის აგენტურის დაკითხვები, მაგრამ მათ საინტერესო ვერაფერი თქვეს. გამომძიებლების გასაოცრად, აგენტურაში ერთი ნარკომანიც არ იყო, მაგრამ ეს „პრობლემა“ მალე მოგვარდა. ერთ-ერთი ადგილობრივი ნარკომანი ფაქტზე დააკავეს, საკანში შეაგდეს და როცა „ლომკა“ დაეწყო, „ბარიგის“ მისამართი ჰკითხეს. მისი პასუხი მოულოდნელი გახლდათ: „მოხუცი ქალი, მზესუმზირას რომ ჰყიდის, ეგ არის ნარკოტიკების გამსაღებელი. ვინ ამარაგებს, არ ვიცი, მაგრამ წამალს მისგან ვიღებთ, ფულსაც მას ვაძლევთ და თან გვეშინია მისი, რადგან ისე გვესაუბრება, ძალიან გამოცდილი კრიმინალი უნდა იყოს“...

მზესუმზირის გამყიდველ ქალზე თვალთვალი დააწესეს, მისი დოსიეც გადაქექეს და ის ოთხჯერ ნასამართლევი აღმოჩნდა. პრინციპში, რაღა თვალთვალი უნდოდა, პრაქტიკულად, ქალი პირდაპირ ქუჩაში ჰყიდდა ნარკოტიკს და როცა წინ ძალოვნები აესვეტნენ, ისე მოკურცხლა, გაოცებისგან პირდაღებულ ოპერებს 50 მეტრზე მეტის გარბენა დასჭირდათ მის დასაპატიმრებლად. სახლის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს, თუმცა ქალმა მომმარაგებლებზე არაფერი თქვა, ციხეში რომ შევალ, მინდა, ცოტა ხანს იქაც ვიცოცხლო, ისეთ ასაკში ვარ, იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვაღწევ, მაგრამ ჩემი სიკვდილით მინდა მოვკვდეო (მისი ეს წინასწარმეტყველება ახდა).

რაც შეეხებოდა უბნის რწმუნებულის მკვლელობას, ქალმა მხრები აიჩეჩა – უბნის წინა რწმუნებული „გაკერილი“ გვყავდა, ვიხდიდით და ჩუმად იყო, ეს ვერ გავკერეთ და ჩემები ამბობდნენ, რამეს მოვუხერხებთო, მაგრამ არ მგონია, მოეკლათ. ასეთ ხმაურიან საქმეზე არ წავიდოდნენ, მაინც უბანია, სიმშვიდეა, ყველა ყველას იცნობს. მგონია, რომ ის, ვინც უბნის რწმუნებული მოკლა, აქაურია და მას ყურადღებას არავინ აქცევს, შევიდა, მოკლა, გამოვიდა, ეჭვიც ვერავინ მიიტანაო...

გამოცდილი კრიმინალის სიიტყვები გამოძიებას მწარედ ენიშნა. მართლაც, უცხო ადამიანი უბნის რწმუნებულის ოთახში ისე ვერ შევიდოდა, ვინმეს თვალი არ მოეკრა, აგერ, თავისი უბნელი დაინახეს და ჩაუშვეს. ყურადღება მიაქციეს უბნის ძველ რწმუნებულსაც, რადგან ის არა მარტო იმ უბნიდან, არამედ, ძალოვანი უწყებიდან გაუშვეს ქრთამის აღების ბრალდებით და იყო შანსი, რომ მას თავის შემცვლელზე შური ეძია. ამიტომ, უბნის ძველი რწმუნებულის დაკითხვა გადაწყდა, თუმცა ის საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფებოდა და რაც მთავარია, ცოლმა თქვა, მოულოდნელად გაემგზავრა, ასე თქვა, სოფელში, მშობლებს უნდა ჩავხედოო. გამგზავრება მკვლელობის არა მარტო დღეს, არამედ, სავარაუდო დროსაც ემთხვეოდა. მასზე ძებნა გამოცხადდა, რადგან მშობლებმა პირდაპირ თქვეს, ჩვენთან არ მოსულა და არც ვიცით, სად არისო. სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ ნამდვილ მკვლელს მიაგნეს და უბნის ყოფილი რწმუნებულის დაკავებაც დროის ამბავი იყო, მაგრამ მომხდარიდან მალევე, განყოფილებაში ზარის ხმა გაისმა. გამომძიებელთან საუბარს... ძებნილი ითხოვდა.

„ერთადერთი მოთხოვნა მაქვს – დამაბრუნეთ ძალოვან სტრუქტურაში და მზად ვარ, გითხართ, ვინ არის მკვლელი. მე დავინახე მკვლელობის მომენტი, დავინახე მკვლელიც და შემდეგ მშვიდად წავედი შემთხვევის ადგილიდან. წავედი იმიტომ, რომ ხელის შეშლას აზრი არ ჰქონდა, უბნის რწმუნებული უკვე მკვდარი იყო, მე კი მილიციის თანამშრომელი აღარ ვარ, მკვლელი რომ დამეკავებინა. მე არა მარტო მკვლელის ვინაობა ვიცი, არამედ, მოტივიც და მოწმესაც მოვიყვან. თუ არ იჩქარებთ, შეიძლება, ის მოწმეც მოკლან და მერე ვერაფერს დავამტკიცებ“, – ტელეფონის ყურმილში სწრაფად, მაგრამ მკაფიოდ საუბრობდა ძებნილი. მან გამომძიებლებს ერთსაათიანი ვადა მისცა მოსაფიქრებლად და ყურმილი დაკიდა. მისი მოთხოვნა მინისტრთან იყო შესათანხმებელი და მან მოკლედ მოჭრა – „დააბრუნეთ და მერე, როცა რამე შეეშლება, გაუშვით“.

ერთი საათის შემდეგ, უბნის ყოფილმა რწმუნებულმა კვლავ დარეკა და როცა თანხმობა უთხრეს, დაიბარა, ნახევარ საათში მოვალო და მართლაც, 30 წუთში, განყოფილებაში გამომძიებლის წინ იჯდა.

„იმ დღეს, უბნის რწმუნებულთან დალაპარაკება გადავწყვიტე. მინდოდა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რაღაც რჩევები მიმეცა, ვისთვის უნდა მიექცია მეტი ყურადღება, ვინ რითი სუნთქავდა. სულ რაღაც 50 მანეთი მინდოდა, მეტი კი არა. რომ მივედი, ოთახის კარი ოდნავ შეღებული იყო და ჩვენი უბნელი კაცი ემუდარებოდა, ნუ დამღუპავ, მეტს აღარ ვიზამო. უბნის რწმუნებულმა კი უთხრა, მეტი რაღა უნდა ქნა, საკუთარ შვილს აუპატიურებ, გოგონამ ყველაფერი მომიყვა, ახლა ხელბორკილს დაგადებ და უმკაცრესად დაისჯებიო. სავარაუდოდ, ბორკილების ასაღებად მიბრუნდა, ამან კი დანა ამოიღო და ზურგში ტარამდე ჩაარტყა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ვერაფერი მოვასწარი, უბრალოდ, იქაურობას გავეცალე. იმ კაცს თუ არ დაიჭერთ, შეიძლება, გოგოც მოიშოროს თავიდან“, – განაცხადა მისულმა.

მის მიერ დასახელებული მამაკაცი მალე დაიჭირეს, გოგონა კი... სახლიდან იყო გაქცეული და თავს დაქალთან აფარებდა, თუმცა მიზეზს არ ამბობდა. როცა უთხრეს, რომ მამამისი დააკავეს, ტირილი დაიწყო და ალაპარაკდა.

„ეს მაშინ დაიწყო, როცა დედა ღამის მორიგე გახლდათ, მამა ნასვამი დაბრუნდა სახლში და გამაუპატიურა. მეორე დღეს მითხრა, ალბათ, თავს მოვიკლავო, დედას არ უთხრაო და როცა მეგონა, თავს მოიკლავდა, მეორე მორიგეობაზე ისევ გამაუპატიურა. მეშინოდა, მეუბნებოდა, თუ იტყვი, ორივეს დაგხოცავთო. ვითმენდი და არ ვიცოდი, რა მექნა. მერე, უბნის ახალი რწმუნებული მოვიდა, ყველა ემადლიერებოდა, ყველა ამბობდა, ნებისმიერს დაეხმარებაო და მას მოვუყევი. მომისმინა და მითხრა, ყველაფერი მალე დასრულდებაო. მერე გავიგე, რომ ჩვენი უბნის რწმუნებული მოკლეს, მივხვდი, ვინც გააკეთა და ჩავთვალე, რომ საშველი აღარ იყო“, – განაცხადა გოგონამ.

დაკავებული მამაკაცი დუმილის უფლებას ინარჩუნებდა, მაგრამ ამაზე არავინ ნერვიულობდა, რადგან მისი დუმილი მალე სამუდამოდ იქცა – თანასაკნელებმა გამოუყვანეს წირვა.

რაც შეეხება უბნის ძველ რწმუნებულს, ის სამსახურში დააბრუნეს, მაგრამ ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს და ციხეში გაისტუმრეს.

ბათო ჯაფარიძე

შვილის დაბადება ღვთით ბოძებული სასწაულია და ამ სასწაულს ყველა უნდა ეზიაროს. როცა ახალი სიცოცხლე ჩნდება, იცვლება ყველაფერი, სხვაგვარად უყურებ სამყაროს და ვისაც შვილი არ ჰყავს, ჯერ ვერ მიხვდება, რატომ უხარიათ დედებს თუ მამებს შვილის ჭამის შემდეგ დაბოყინება, კუჭში დროულად გასვლა, პამპერსის დროზე გამოცვლა და ა.შ. სამწუხაროდ, შვილი ყველას ხვედრი არ არის, მაგრამ იმდენად დიდია ბავშვის, ახალი სიცოცხლის გაზრდა-აღზრდის სურვილი, რომ ისინი ბავშვთა სახლიდან სხვის შვილს იყვანენ, მას, ვინც მშობლებმა მიატოვეს და ზრდიან.

რატომ მოკლა ახალგაზრდა მამაკაცმა დეიდა

უცნაური კრიმინალური ამბავი

„საგამოძიებო სამსახური ისეთია, სულ სხვადასხვა საქმეზე მოდიან ადამიანები და სხვადასხვა პრობლემა აწუხებთ, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო. არც მანამდე და არც მას შემდეგ ანალოგიური საქმე პრაქტიკაში არ მქონია. ყველაფერი კი ისე დაიწყო, რომ საქმის სირთულეს ვერც კი ვხვდებოდი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამოცდილ გამომძიებელთან ორი ქალი მივიდა და საოცარ ისტორიას მოჰყვა.

„ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ორივემ ერთ სამშობიაროში, ერთ დღეს გავაჩნეთ ბიჭები. მერე ცოტა ხანს კიდევ გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი ჩვენგანი სხვა უბანში გადავიდა, ტელეფონის ნომერი შეიცვალა და დაკავშირებას ვეღარ ვახერხებდით, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რამაც ერთმანეთი ისევ გვაპოვნინა. ჩემს ქმარს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და ექიმებმა ანალიზები ბავშვსაც აუღეს. სწორედ მაშინ მითხრეს საიდუმლოდ, ეს ბავშვი თქვენი ქმრის არ არისო. მე ხომ ვიცი, შვილი ვისგან მყავს და მაშინვე ქმარს მოვუყევი ყველაფერი, რეალურად, მეგონა, საქმე არაკომპეტენტურ ექიმებთან მქონდა და მინდოდა, ქმარი სხვა კლინიკაში გადამეყვანა. მერე მე ჩამიტარეს კვლევები და მთხრეს, რომ ბავშვი ჩვენი არ არის. სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ შესაზლებელი იყო, ბავშვები სამშობიაროში არეოდათ. ვიპოვე ეს ქალბატონი, ვუთხარი რაც ხდებოდა, ანალიზები ორივე ოჯახმა ჩავაბარეთ და შედეგად დადგინდა, რომ 8 წელი მე ამის შვილს ვზრდი, ეს კი – ჩემსას. რაც მთავარი, ჩვენ ვიპოვეთ დამნაშავე, ადგილობრივი ბებიაქალი, რომელსაც ბავშვები აერია. გვგონია, რომ ეს განგებ გააკეთა, რადგან საკუთარი შვილები არ ჰყავს და ამიტომ, სხვებზე შური ასე იძია“,-განაცხადა მოსული ქალებიდან ერთ-ერთმა.

საქმეს ის ართულებდა, რომ არცერთი დედა არ აპირებდა გაზრდილი ბავშვის დათმობას და ორივეს სურდა, საკუთარი შვილი წაეყვანა, რაც არ გამოვიდოდა. ორივე დედა ამბობდა, რომ 8 წელი ბავშვს რომ ზრდიდნენ, იმას ვერ შეელევიან, მაგრამ იმის შეგრძნება, რომ მათი ნამდვილი შვილი სხვაგან იზრდება, ორივეს აგიჟებდა. არადა, გამოსავალი მოსაძებნი იყო და რაც მთავარია, დედები იმ სამშობიაროს ბებიაქალის დასჯას ითხოვდნენ, სადაც შეცდომა მოხდა.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებელმა ქალბატონებს მოუსმინა, მაგრამ მშვიდად გადაამისამართა გვერდით განყოფილებაში, მე მხოლოდ მკვლელობების განხრით ვარ და ვერაფრით დაგეხმარებითო, თუმცა...

„იმ ბებიაქალის სახელი და გვარი იმდენჯერ გამიმეორეს, რა დამავიწყებდა და ამიტომ, როცა მეორე დღეს დამირეკეს და მითხრეს, რომ საკთარ სახლში გარდაცვლილი ქალბატონი იპოვეს, მივხვდი, რომ სწორედ იმ ბებიაქალიზე საუბრობდნენ, რომელზეც ერთი დღით ადრე გამწარებული დედები მიყვებოდნენ. საქმეზე არათუ ინტერესით წავედი, გზაში იმასაც კი ვფიქრობდი, რომელ დედას შეეძლო მისი მოკვლა, რადგან მათი სახეები რომ მახსენდებოდა, ვხვდებოდი, რომ მკვლელობაზე ხელს ორივე სიამოვნებით მოაწერდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი თოკით იყო გაგუდული და სავარაუდოდ, მკვლელობის იარაღი დამნაშავემ თან წაიღო. ყოველ შემთხვევაში, ბინის ჩხრეკისასაც კი, შესაბამისი ზონარი ვერ იპოვეს და ივარაუდეს, რომ მკვლელმა ის წინასწარ მოიტანა ანუ მკვლელობა არ იყო სპონტანური. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმეე, ეზოში მთელი კორპუსის მაცხოვრებლები იყვნენ შეკრებილნი, ქალს ყველა დადებითად ახასიათებდა, გათხოვილი იყო, მერე გაიგო, რომ შვილი არასდროს გაუჩნდებოდა, ქმარმა მიატოვა და მთელი დარჩენილი ცხოვრება მარტო გაატარა, არც არავისთან ჰქონია ურთიერთობა და ზოგადად, ძალიან მშვიდ ცხოვრებას ეწეოდაო. რამდენიმე მეზობელი კი იმას ამტკიცებდა, დღეს მასთან ერთი ქალი იყო მოსული, ჯერ კარზე უბრახუნა კარგა ხანს, შემდეგ მთელი კორპუსის გასაგონად, ნაძირალა ეძახა და ბოლოს, მოკვლით დაექმურაო. გამომძიებელმა სასწრაფო წესით, მასთან წინა დღეს მყოფი ორივე ქალის ადგილზე მიყვანა მოითხოვა და როგორც კი ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ, ერთ-ერთს მეზობლებმა ხელი დაადეს, სწორედ ეს იყო დილითო.

„დიახ, ვიყავი, მაგრამ არ მომიკლავს. პირიქით, იმის სათქმელად ვიყავი, რომ საჩივარი დავწერეთ და ციხეში ამოგალპობენ-მეთქი, თუმცა მარტო მე არ ვყოფილვარ, როცა აქედან მივდიოდი, მოსახვევში ეს ქალბატონი დავინახე, გამიკვირდა და ისიც იმავე სადარბაზოში შემოვიდა, სადაც ბებიაქალი ცხოვრობდა და იქნებ ამან მოკლა?“-სავარაუდო ეჭვმიტანილმა ისრები მისი ღვიძლი შვილის დედობილზე გადაიტანა.

„მართალია, მეც ვიყავი დღეს მასთან, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ კარი არ გამიღო და ამის მოწმე მყავს. ერთი კაცი ჩამოდიოდა კიბეებზე და რომ ვაბრახუნებდი, მკითხა, რა დღეში ხარო, მე ყველაფერი მოვუყევი, მან კიდევ დამამშვიდა, გარეთ გამომიყვანა და შინ წავედი. იმ კაცს ახლავე აღგიწერთ“,-თქვა ქალმა და მართლაც, მისი დახასიათების შემდეგ, მეზობლებმა იმ მამაკაცს დაუძახეს, რომელმაც ქალის სიტყვები დაადასტურა. ყველაფერი ეს გამოძიების საქმეს ართულებდა – ვის და რატომ შეიძლებოდა მოეკლა ქალი, რომელსაც ყველა დადებითად ახასიათებდა და თითქოს, ერთადერთ ცოდვად რვა წლის წინ, ბავშვების არევა ჰქონდა. გამომძიებელი სამშობიარო სახლში წავიდა.

„აბა, რა უნდა გითხრათ? ჩვენც შოკი გვაქვს, საუკეთესო თანამშრომელი იყო, გამოცდილი... ბავშვები არ ჰყავდა და მთელი სიყვარული აქ გაჩენილ ჩვილებზე გადაჰქონდა. იმ შემთხვევის შესახებ ჩვენც ახლა გავიგეთ, დედები მოვარდნენ და ბოლო ხმაზე გაჰკიოდნენ. ძალიან, ძალიან ნერვიულობდა ამ ამბავს. ჰყავდა თუ არა მტერი? არასოდეს გამიგია, რომ მას ვინმესთან მცირე უსიამოვნება მაინც ჰქონოდა“, – განაცხადა სამშობიაროს მთავარმა ექიმმა.

სამაგიეროდ, ექთნები უფრო ჭირიკნები აღმოჩდნენ და განაცხადეს, რომ გამოცდილ ბებიაქალს ჯიბეც გამოცდილი ჰქონდა და ზუსტად ხვდებოდა, ვის რამდენი უნდა მიეცა. ამას გარდა, ექთმებს მისი ბინაც შურდათ – ქალაქის ცენტრში, ორ-ოთახიანი, კარგად გაწყობილი ბინა არაფერში სჭირდებოდაო. ქალი მართლაც მარტო ცხოვრობდა, შემოსავალი საკმარისი ჰქონდა და ყველაფერი ეს ბინასაც ეტყობოდა. მისი სიკვდილის შემდეგ, ბინა მის დის შვილს რჩებოდა, სხვა მემკვიდრე ქალს უბრალოდ არ ჰყავდა და ყველამ თქვა, დის შვილი თან ყვებოდა, მუდმივად აკითხავდაო. მეტიც, როცა ბიჭმა ცოლი მოიყვანა, დეიდამ უთხრა, ჩემთან გადმოდით, აქ იცხოვრეთ, ბავშვი რომ გეყოლებათ, გაზრდაში მოგეხმარებითო და დის შვილი გადასვლას მართლაც აპირებდა, ახლა კი... ა ხლა თავს იკლავდა, ამ სახლში როგორ ვიცხოვრო, ჩემი მეორე დედა მოკლესო.

„აღარ ვიცოდი, რა მექნა, პრაქტიკულად, ყველა ძაფი ხელიდან გამისხლტა და ორი დღე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რა გზით წავსულიყავი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. სამაგიეროდ, მესამე დღეს, განყოფილებაში სამშობიარო სახლის ერთი თანამშრომელი მოვიდა, მოხუცი ქალი, რომელმაც თქვა, გარდაცვლილი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო და ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე მეთქვა ის, რაც სიკვდილამდე ერთი დღით ადრე გამანდოო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, ბავშვების არევამ ისე იმოქმედა ბებიაქალზე, რომ მან გადაწყვიტა საკთარი ბინა გაეყიდა და აღებული თანხა თანაბრად გაენაწილებინა ბიჭების ოჯახებისთვის. ამით თითქოს დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდა და ერთადერთი, რაც აწუხებდა, ის იყო, რომ დის შვილს ეწყინებოდა ყველაფერი ეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ,გამიგებსო, ასე ამბობდა. ჰოდა, დის შვილს სწორედ გარდაცვალების დღეს უნდა დალაპარაკებოდაო, თქვა მოხუცმა. საქმე პრაქტიკულად გახსნილი იყო, მთავარი ახლა ის გახლდათ, დის შვილს დანაშაული ეღიარებინა, მაგრამ გამომძიებელი ექსპერტმა დაამშვიდა, ზონარი ისეთი ძალით იყო ყელზე შემჭერილი, ხელებზე მკვლელს მცირე ზომის სისხლჩაქცევები აუცილებლად ექნებაო.

მართლაც, დაკავების და ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ყველაფერი დადასტურდა. თანაც, როგორც ჩანს, ბიჭი იმდენად იყო დარწმუნებული რომ ვერ დაიჭერდნენ, ზონარი ავტოფარეხში ჰქონდა დაგდებული და ეს მთავარი ნივთმტკიცება იყო.

„აბა, რა უნდა მექნა? ცოლი ორსულად მყავს, მთელი ცხოვრება დეიდას თავს ვევლებოდი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს ბინა უნდა დაეტოვებინა. ახლა კი გამომიცხადა, ბინას ვყიდი და ფული ვიღაცეებს უნდა მივცეო. თავი ვერ შევიკავე და მოვგუდე“,-განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოში, თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატისა და მისი თანმხლები პირების ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით დაიწყო, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე მისულ სამართალდამცველებს დახვდათ რამდენიმე პირი, რომლებსაც სხეულზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის, მათ შორის, სისხლნაჟღენთი დაზიანებები. აღნიშნული პირები სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

მომხდარი ფაქტიდან მალევე, გლდანში შეიკრიბნენ დაშავებული პირების მეგობრები და თანაპარტიელები, რომლებმაც სამართალდამცველებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს, მიაყენეს სიტყვიერი, ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფა და წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც პოლიციამ სამი პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დააკავა.

დაპირისპირების შედეგად, პოლიციის თანამშრომლებს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებათ. ფაქტზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, რაც სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს, პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ საავადმყოფოში მოთავსებულმა პირებმა, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებაში მისულ სამართალდამცველებს გამოკითხვაზე უარი განუცხადეს და განმარტეს, რომ ჩვენებას მისცემენ სასამართლოში.

მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით გრძელდება გამოძიება, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკურმა ჯგუფმა ნატო-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის „ზღვის მცველი“ წინა მოსამზადებელ სწავლებებში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 12 მოსამსახურისგან შემდგარმა კანონაღსრულების ტაქტიკურმა ჯგუფმა, საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ხანიაში, ნატო-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციის – „ზღვის მცველი“ წინა მოსამზადებელ სწავლებებში მიიღო მონაწილეობა.

სწავლება ნატო-ს საზღვაო აკრძალვითი ოპერაციების სასწავლო ცენტრში ჩატარდა და მოიცავდა ისეთ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, როგორებიცაა: საზღვაო აკრძალვების დაგეგმვა, კონტეინერების შემოწმება, იარაღის გამოყენება, საზღვაო აკრძალვით ოპერაციაში ეჭვმიტანილი გემის ეკიპაჟის შემოწმება/კონტროლი, სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება, ოთახების ტაქტიკური წმენდა და საზღვაო აკრძალვების ოპერაციებში საბრძოლო მედიკოსის მხარდაჭერა.

აღნიშნული სწავლება მიზნად ისახავდა სანაპირო დაცვის კანონაღსრულების ტაქტიკური ჯგუფის ნატო-ს შენაერთებთან ურთიერთავსებადობის ამაღლებასა და სანაპირო დაცვის მოსამსახურეების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწა/განვითარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 13 პირი დააკავა, ხოლო ორ „კანონიერ ქურდს“ ბრალი დაუსწრებლად წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ბათუმში, ლანჩხუთსა და ცაგერში, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 13 პირი დააკავეს, ხოლო ორ „კანონიერ ქურდს“ ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით დაკავებულები არიან, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირები: 1961 წელს დაბადებული გ.ლ.; 1992 წელს დაბადებული გ.ხ.; 1982 წელს დაბადებული ვ.ჩ. (მეტსახელად, „ფამფალა“); 1992 წელს დაბადებული ვ.კ. (მეტსახელად, „ტონი“) და 1991 წელს დაბადებული რ.ო (მეტსახელად, „როკო“).

ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე კი დაკავებულია 1999 წელს დაბადებული თ.ქ.; 1988 წელს დაბადებული ი.ჩ.; 1982 წელს დაბადებული ლ.ს.; 1990 წელს დაბადებული ვ.ჩ.; 1976 წელს დაბადებული გ.კ.; 1995 წელს დაბადებული ო.კ.

წარსულში ნასამართლევ, 1961 წელს დაბადებული ა.ფ.-სა და 1995 წელს დაბადებული გ.მ.-ს ბრალი „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვაში ედებათ.

„კანონიერი ქურდობის“ ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ, ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, 1974 წელს დაბადებულ რომან ხმალაძესა და 1978 წელს დაბადებულ ლევან მარღიას.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებისა და პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ. ისინი ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ, რომლებსაც მოდავე მხარეებიც ესწრებოდნენ.

ბრალდებულები ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად, გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ერთ-ერთ მოდავე მხარეს მეორის, ასევე, თავიანთ სასარგებლოდ განსაზღვრულ დროში გარკვეული თანხის გადახდას აკისრებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებოდნენ „კანონიერ ქურდების“ მითითებებს, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფმა პირებმა, ერთ-ერთ ბრალდებულს – 1995 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ონლაინ სამორინეში დიდი ოდენობით მოგებული თანხიდან ე.წ. „ქურდული წილის“ გადახდა მოსთხოვეს. აღნიშნული დავის გადაწყვეტის მიზნით, თბილისში, ე.წ. ქურდული გარჩევა მოაწყვეს და არსებული საკითხის შესახებ „კანონიერ ქურდს“ – ჯეირან კინწურაშვილს შეატყობინეს, რა დროსაც, ის საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით დაჰპირდა მხარდაჭერას. ამის შემდეგ კი, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებისთვის, ე.წ. კანონიერი ქურდებისთვის და კრიმინალური ავტორიტეტებისთვის ფულადი თანხის გადარიცხა განხორციელდა.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომობილი, ოქროს ნივთები და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს, ასევე, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

ასევე, სამართალდამცველების მიერ ბრალდებული გ.კ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატი, მჭიდები და 50-მდე ვაზნა, ხოლო ბრალდებულ ვ.ჩ.-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლით, 223-ე მე-4 პრიმა მუხლით და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

მიქაუტაძეს მისვლა „აიაქსში“ არავის სურდა

მას შემდეგ, რაც გიორგი მიქაუტაძე „მეციდან“ „აიაქსში“ გადავიდა, გაჩნდა იმედი, რომ ჟორჟი უმაღლეს დონეზე ჩაატარებდა მიმდინარე სეზონს, შემდეგ კი, ჰოლანდიური გრანდიდან, ტოპ-5-ის რომელიმე დიდ კლუბში გადავიდოდა. როგორც წესი, „აიაქსი“ გრანდებს მუდმივად ყურადღების ცენტრში ჰყავთ და ყოველწლიურად, იქიდან ხუთი-ექვსი ფეხბურთელი დიდი კლუბებში იყიდება. ამის მიუხედავად, მიქაუტაძემ მხოლოდ პირველი მატჩი დაიწყო ძირითად შემადგენლობაში, შემდეგ შეხვედრაში კი, მწვრთნელმა სათადარიგოთა შორის დასვა და მხოლოდ ბოლოსკენ შეუშვა მოედანზე. რატომღაც, გვეგონა, რომ ეს ყველაფერი მოახლოებული ევროთასების მატჩებისთვის იყო მოფიქრებული, გვჯეროდა, მწვრთნელმა მიქაუტაძე „მარსელთან“ სათამაშდ შემოინახა, დაასვენა, მაგრამ...

„მარსელთან“ შეხვედრაც ქართველმა ფორვარდმა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო და იქვე დაამთავრა. მწვრთნელმა მას ერთი წუთით თამაშის შესაძლებობაც კი არ მისცა და რა თქმა უნდა, ამან კითხვები არა მარტო ჩვენთან, არამედ, ჰოლანდიურ მედიაშიც გააჩინა. 16 მილიონად ნაყიდი ფეხბურთელის მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ყოფნა, ცოტა არ იყოს, აუხსნელია, მაგრამ როგორც წესი, ახსნა ყველაფერს აქვს.

„მიქაუტაძის თამაშით მოხიბლული კლუბის სპორტული დირექტორი, სვენ მისლინტატი იყო და სწორედ მან აიჩემა ქართველი ფორვარდის შეძენა. ტრანსფერის წინააღმდეგი გახლდათ არა მარტო მთავარი მწვრთნელი, არამედ, კლუბის სტაფის სხვა წევრებიც. საბოლოოდ, მისლინტატმა თავისი გაიტანა, მიქაუტაძე 16 მილიონად იყიდა და მწვრთნელმა ის სათადარიგოთა სკამზე დასვა. ქართველი შემტევის შანსი, ძირითადში დამკვიდრდეს, მხოლოდ მწვრთნელის შეცვლა იქნება, რისი ალბათობაც ძალიან დიდია, რადგან ხუთი ტურის შემდეგ, ამსტერდამელებს მხოლოდ ერთი მოგება აქვთ და სატურნირო ცხრილში მათთვის უჩვეულო, მე-13 ადგილზე არიან“, – წერს ჰოლანდიური მედია.

ვერ გეტყვით, შეცვლის თუ არა „აიაქსი“ მთავარ მწვრთნელს, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული ტრანსფერი ბოლომდე არ იყო შეთანხმებული, ფეხბურთელს არც რამე სახის გარანტია მიუღია და ზოგადად, თურმე, ის მწვრთნელს არ სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში, მიქაუტაძემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თუნდაც ზამთრის სატრანსფერო სეზონში, კლუბი გამოიცვალოს და სადმე იჯარით მაინც წავიდეს, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს.

ყველაზე გულისამრევი ადამიანი – გარსია-კვარაცხელიას საგა გრძელდება

ჟუნინიო პერნამბუკანო ხომ გახსოვთ? ამ ბრაზილიელმა კარიერის საუკეთესო წლები „ლიონში“ გაატარა, თავი საოცარი ჯარიმებით დაგვამახსოვრა და გასაკვირი არ არის, კარიერის დასრულების შემდეგ, იმავე კლუბში სპორტული დირექტორის პოსტი რომ შესთავაზეს. ჰოდა, თავის დროზე, „ლიონში“ მთავარ მწვრთნელად, „ნაპოლის“ ამჟამინდელი დამრიგებელი, რუდი გარსია მუშაობდა და იტალიელმა ჟურნალისტებმა ბრაზილიელს ჰკითხეს, როგორი ურთიერთობა გქონდა ამ კაცთან და საერთოდ, მართლა ასეთი უცნაური ხასიათი აქვს, როგორიც ახლა გამოავლინაო?

„დიდხანს ვფიქრობდი, მესაუბრა თუ არა გარსიაზე, უბრალოდ იმიტომ, რომ მისი სახელის წარმოთქმაც კი ცუდ განწყობაზე მაყენებს. კარგით, ვიტყვი – გარსია ყველაზე გულისამრევი ადამიანია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრილვარ. კოლექტივის მართვას მხოლოდ შიშის დანერგვით ახერხებს. მისთვის წარმატება და გასახდელში ჯანსაღი ურთიერთობა მეორეხარისხოვანია. ის ყოველთვის ცდილობს, გავლენიან ხალხს ასიამოვნოს და ამით თანამდებობა შეინარჩუნოს, გაიხანგრძლივოს და ამისთვის ყველაფერზე მიდის“, – განაცხადა ჟუნინიომ.

ჟუნინიოს განცხადება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იტალიელ ჟურნალისტებს კვარაცხელიასთან დაკავშირებით დასკვნები გამოეტანათ.

„გარსია კვარაცხელიას განტევების ვაცად იყენებს. მატჩის დასრულებამდე, 2-3 წუთით ადრე, მას იმიტომ ცვლის, რომ ყველას დაანახოს, აგერ, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშეც კი არ არის ჩემთვის ხელშეუხებელიო. თითქოს, ამით ის საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობს, მაგრამ რეალურად, იდიოტივით გამოიყურება – როცა მოედანზე გყავს მთელი ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი და ცვლი, უნდა მიხვდე, რომ მთელი ერი დაგცინის. კვარასთან დამოკიდებულებით, თითქოს, სხვა ფეხბურთელებს ეუბნება, ბოსად მე მაღიარეთ, თორემ არავის დაგინდობთო“, – განაცხადა „ნაპოლის“ ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა და საფეხბურთო აგენტმა, ენრიკო ფედელემ.

თავად გარსია კი ამტკიცებს, რომ კვარაცხელიასთან საუცხოო ურთიერთობა აქვს, რომ მატჩის შემდგომ მას ხშირად ესაუბრება და რჩევა-დარიგებებსაც აძლევს, რითაც თურმე, ქართველი შემტევი ძალიან კმაყოფილია. ჰოდა, გარსიასთან ურთიერთობის კმაყოფილება კვარაცხელიამ სოციალურ ქსელში გამოხატა, როცა ყოფილი მწვრთნელის, ლუჩანო სპალეტის ფოტო დადო და დააწერა – „აქ ყველას ენატრები, მაესტრო!“

„ბორჯღალოსნებმა“ მოსაგები ვერ მოიგეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას აგრძელებს. ლევან მაისაშვილის გუნდმა ჯგუფური ე ტაპის მეორე ტურის შეხვედრა გამართა და მააშინ, როცა ყველას გვჯეროდა, რომ პორტუგალიას, რომელსაც ევროპის თასზე მუდმივად ვუგებთ ხოლმე, ადვილად დავამარცხებდით, ვერაფერი მოვუხერხეთ. კარგად ნათამაშები და მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში, ჩვენს გუნდს უბრალოდ არაფერი გამოსდიოდა და რომ არა გამართლება (ჰო, გამართლება), აუცილებლად დავმარცხდებოდით.

საბოლოო ჯამში, შეხვედრა ფრედ – 18:18 დასრულდა და ნამატჩევს, მაისაშვილმა აღიარა, წაგების ტოლფასი ფრე იყოო. მორიგ შეხვედრას ჩვენი ნაკრები 30 სექტემბერს, ფიჯის წინააღმდეგ ჩაატარებს და ძალიან, ძალიან გაუჭირდება, რადგან ფიჯელებმა ჯგუფის ფავორიტ ავსტრალიას მოუგეს და საქართველოსთან აუცილებლად გამარჯვებისთვის გამოვლენ. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი შანსია, მსოფლიო პირველობა „ბორჯღალოსნებმა“ მოგების გარეშე დაასრულონ, რადგან ბოლო ტური უელსთან გვაქვს და მართალია, ტესტ-მატჩში უელსელებს ცოტა ხნის წინ ვძლიეთ, მსოფლიოზე ასპარეზობა სულ სხვაა და ამჯერად, აშკარად სხვა გუნდთან გვექნება საქმე.

ქართულმა წყვილმა გრან-პრიზე ოქრო მოიგო

უნგრეთის დედაქალაქში, იუნიორთა შორის, ფიგურულ სრიალში გრან-პრის მეხუთე ეტაპი გათამაშდა. ქართულმა წყვილმა – ანასტასია მეტელკინამ და ლუკა ბერულავამ ძალიან კარგად ისრიალეს, ორი პროგრამის ჯამში, 190.45 ქულა მოაგროვეს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ. ამ გამარჯვების შემდეგ, მეტელკინა-ბერულავას წყვილი გრან-პრის რეიტინგულის სიის სათავეში მოექცა და ისინი პირველები არიან, რომლებმაც გრან-პრის ეტაპების ფინალში მონაწილეობის უფლება ოფიციალურად მოიპოვეს. გრან-პრის ფინალი 7-10 დეკემბერს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართება.

დე ხეა კარიერის დასრულებაზე ფიქრობს

დრო იყო, დავიდ დე ხეა მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ ითვლებოდა და ესპანეთის ნაკრების კარსაც უმაღლეს დონეზე იცავდა. ისე ჩანდა, რომ ტანმაღალი კიპერი კარიერის ბოლომდე „მანჩესტერში“ ითამაშებდა, რადგან ამ კლუბში, თითქოს, დამაჯერებლად გამოდიოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, ინგლისელებმა სხვა კიპერი შეიძინეს, დე ხეასთან კი კონტრაქტი აღარ გააგრძელეს. ყველა დარწმუნებული იყო, 33 წლის მეკარეს ახალი გუნდის მოძებნა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ აგერ, სეზონი გახურდა და მისი გადაბირება არავის სურს.

„დავიდს ძალიან სარფიანი წინადადება ჰქონდა საუდის არაბეთიდან, მას წლიურად 20 მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ უარი თქვა. დე ხეამ კარიერის განმავლობაში საკმარისი თანხა გამოიმუშავა, ახლა მას, უბრალოდ, მაღალ დონეზე თამაში სურს, ევროპის რომელიმე გრანდში და თუ ასეთ კლუბს ვერ იპოვის, ის კარიერას დაასრულებს“, – განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

ისე, ესპანელებს კარიერასთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებები აქვთ, აგერ, ცოტა ხნის წინ, სერხიო რამოსს იმავე არაბეთიდან წლიურ 50 მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ ვეტერანმა მცველმა განაცხადა, ჩემს მშობლიურ „სევილიაში“ მსურს თამაშიო და „დალაქებთან“ კონტრაქტი წლიურ მილიონ დოლარზე გააფორმა, ამ კლუბის მაისური მოირგო და თამაშობს კიდეც. არადა, არაბეთში ორ წელს მარტივად იბურთავებდა და ორი წლის შემდეგ, 100 მილიონით უფრო მდიდარი იქნებოდა.

გერმანიას ნაგელსმანი გაწვრთნის

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, 36 წლის იულიან ნაგელსმანი დაინიშნა. ამის შესახებ, საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა და მწვრთნელთან კონტრაქტი 2024 წლის 31 ივლისამდე ანუ ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე გააფორმა. მოგეხსენებათ, 2024 წლის ევროპის ჩემპიონატს, სწორედ გერმანია მასპინძლობს და რაღა თქმა უნდა, ალემანები ფიქრობენ, რომ კონტინენტის საშინაო პირველობა აუცილებლად უნდა მოიგონ.

ბუნდესნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე მას შემდეგ დარჩა, რაც ამხანაგურ მატჩში „იაპონიასთან 1:4 წააგო და ჰანს დიტერ ფლიკი თანამდებობიდან გადადგა. ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ გერმანელმა სპეციალისტმა ამხანაგურ შეხვედრაში წაგება არ აპატია საკუთარ თავს და აღნიშნა, რომ ნაკრებს ახალი თავკაცი სჭირდება. ჰოდა, ჩვენმა ნაკრებმა ოფიციალურ შეხვედრაში ესპანეთთან 1:7 რომ წააგო, მერე ნორვეგიასთან 1:2 რომ დამარცხდა, მთავარმა მწვრთნელმა, ვილი სანიოლმა გახარებულმა გვითხრა, შედეგი შეიძლება არ მოგწონთ, მაგრამ ფაქტია, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, კარგად ვითამაშეთ და კმაყოფილი ვარო.

ჩვენი მწვრთნელი მარცხით არის კმაყოფილი და არავინ არაფერს ეუბნება. ისიც გავიგეთ, რომ სანიოლს ფედერაციასთან გაფორმებულ კონტრაქტში უწერია, პრემიას ფრეს შემთხვევაშიც მიიღებს, რაც უპრეცედენტო შემთხვევა გვგგონია – როდის იყო, მწვრთნელს პრემიას ვერმოგებული მატჩის გამო უხდიდნენ?

სანდრო ასათიანი

ტანდემი

პუტკუნა თითები მოუსვენრად დარბოდნენ თეთრ, სპილოსძვლის კლავიშებზე, ხან კი ნელა ფეხაბნეული კაცივით მიუყვებოდნენ აღმა-დაღმა, ან მოულოდნელად ჩერდებოდნენ ერთ ადგილას, თითქოს აღარასოდეს არ დაიძვრებიანო აქედან, – ასე იბადებოდა ჟორას დაუვიწყარი მუსიკა.

მაგრამ, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ჟორა, ანუ ბენჟამენი წარმოშობით ფრანგი, მოწოდებით კი მუსიკოსი იყო. მისი მუსიკალური მისწრაფებანი ჯერ კიდევ ჩვილობაში გამოვლინდა. პირველი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა, იყო „ბაჰ“. წარმოგიდგენიათ, არც – დედა, არც – მამა, არამედ დიდი გერმანელი კომპოზიტორის სახელი. ბაბუამისმა იმთავითვე აღნიშნა და სათანადოთ შეაფასა ჟორას მუსიკალური მისწრაფებანი.

ცხოვრებამ ბევრი განსაცდელი მოუვლინა ჟორას ბავშვობაში. ჰოდა, ცხოვრების უკუღმართობაში გახლართულს მოხუცი ბაბუა ზრდიდა. ზრდიდა ერთ პატარა ოთახში საერთო სამზარეულოთი. თითქმის მთელი ოთახი უზარმაზარ საკონცერტო როიალს ეკავა. ასე რომ, ოთახში როიალის გარდა პატარა კედლის კარადა, ჟორას ლოგინი და ორი ტაბურეტი ეტეოდა. ბაბუა კი, როიალის ქვეშ იშლიდა ხოლმე ლოგინს. ამ ოთახში შემოსულს უნებლიედ გაგიჩნდებოდა კითხვა – საიდან გაჩნდა ეს ჩინებული ინსტრუმენტი ამ მოციცქნულ ოთახში? ამხელა ინსტრუმენტს ხომ ვერც კარებში შემოატევდით და ვერც ფანჯარიდან შემოკვეხებდით?

საქმე კი იმაში გახლავთ, რომ ეს შენობა ოდესღაც ერთ დიდგვაროვან ქალბატონს ეკუთვნოდა. ამას ჩინებული შენობის შელახულ ფასადზეც ამოიკითხავდით. ქალბატონი კლასიკური მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. იგი მეცენატის უზადო გულით ახალგაზრდა ტალანტებს პატრონობდა, სტიპენდიებს უნიშნავდა და, საერთოდ, სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებით ცდილობდა დახმარებოდა მათ შემოქმედის რთულ გზაზე. ჟორას ბაბუაც – ოდესღაც ახალგაზრდა, კონცერტმეისტერი – ქალბატონის ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ. ქალბატონის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძის თანახმად, სახლი, რომელშიც ის ცხოვრობდა, გადაეცა მათ, ვიზეც სიცოცხლეში უანგაროდ მზრუნველობდა. ასე რომ, მას მემკვიდრეთა მთელი ჯარი დარჩა.

როდესაც მემკვიდრეებმა დავა დაასრულეს, სახლის დარბაზები ოთახებად დაყვეს და მასში ცხოვრება დაიწყეს. ჟორას ბაბუას პატარა კუთხე ერგო, მაგრამ ეს არ იყო მისთვის მთავარი. მისი საკონცერტო როიალი კვლავ მასთან იყო. ბაბუამ თავისი საყვარელი ინსტრუმენტი კუთხეში მიაგორა და მის ირგვლივ კედლები ამოაშენა. ერთი ეგ არის, რომ ოთახი ძალიან პატარა გამოდგა. როიალი, შეიძლება ითქვას, ამ პატარა ოჯახის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი იყო. უფრო მეტიც, თუკი ოთახის საერთო ფართს მის ბინადართა მიერ დაკავებულ ფართებზე გავყოფდით, გამოვიდოდა, რომ როიალი ამ ოჯახის უფროსიც კი იყო.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ჟორას უშფოთველ ცხოვრებაში. ჟორა ჯერ კიდევ მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობდა, როდესაც ბაბუა გარდაეცვალა. ბაბუისაგან მას უზარმაზარი მემკვიდრეობა ერგო: მუსიკისადმი სიყვარული, დიდი საკონცერტო როიალი, პატარა ოთახი საერთო სამზარეულოთი და ნიანგის ტყავის პორტფელი მოოქროვილი შესაკრავით. მართალია, ბოლო საუკუნის განმავლობაში პორტფელი საკმაოდ შეილახა და შესაკრავს აღარც ეტყობოდა, რომ ოდესღაც მოოქროვილი იყო, მაგრამ ჟორა მას სიამაყით დაატერებდა. ასე იყო თუ ისე, ჟორა და როიალი მარტონი დარჩნენ ამ უკიდეგანო სამყაროში. გარდა ამისა, ჟორა ძლივსძლივობით ეტეოდა თავის ლოგინში და ლოგინი წიგნის თაროებში გაცვალა, თვითონ კი როიალის ქვეშ იძინებდა, როგორც ამას ოდესღაც ბაბუა აკეთებდა. ამ ცხოვრებისეული პერიპეტიების მიღმა, ნათელმთვარიან ღამეებს ჟორა მიუჯდებოდა ხოლმე დიდ საკონცერტო როიალს და პუტკუნა თითები მოუსვენრად დარბოდნენ თეთრ, სპილოსძვლის კლავიშებზე, ხან კი ნელა ფეხაბნეული კაცივით მიუყვებოდნენ აღმა-დაღმა, ან მოულოდნელად ჩერდებოდნენ ერთ ადგილას, თითქოს აღარასოდეს არ დაიძვრებიანო აქედან. ამ დროს ჟორა ბატიფეხური ნაწერებით რაღაცეებს აფიქსირებდა გაცრეცილ ნოტების რვეულში. ასე იბადებოდა ჟორას მუსიკა. მუსიკის ჰანგები, თხელი კედლების წყალობით, მთელს სახლში იღვრებოდა. მართალია, მეზობლები, იბადებოდნენ და იზრდებოდნენ როიალის ჰანგებში და თავადაც მუსიკოსების შთამომავლები იყვნენ, მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებობდნენ ჟორას მუსიკალურ ტალანტებს. ისინი ათასგვარ საჩივრებს წერდნენ სათანადო ორგანოებში. მეზობლებს არ უყვარდათ ნათელი მთვარიანი ღამეები, მაგრამ ეს ყოველივე ხომ ცხოვრების პროზაა, ყოველივე ამის მიღმა ჟორას მუსიკაში ახალი ხმოვანება გაჩნდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

* * *

იგი სასაცილოდ აცმაცუნებდა ულვაშებს. ნება-ნება ტკბებოდა მშვენიერი მუსიკით. აცმაცუნებდა ულვაშებს და იქით-აქეთ აქანავებდა თავს. ეს იყო პაწაწინა ქაღალდიჭამია ხოჭო. ხოჭო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის წიგნსაცავში ცხოვრობდა. რაც თავი ახსოვდა, სულ აქ იყო. ადრე, სანამ ხოჭოდ გადაიქცეოდა, ანუ სანამ კიდევ უფრო პატარა მატლი იყო, არც კი უფიქრდებოდა თავის ცხოვრებას. უდარდელად მიირთმევდა სხვადასხვა კომპოზიტორის ნოტებს. სხვათა შორის, სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა მას მუსიკალური გემოვნება. მაშინ გაუჩნდა ერთგვარი ლტოლვა ვენის სკოლის მუსიკოსებისადმი. ახლა კი უკვე ზრდასრული ხოჭო იყო. ახლა ხშირად ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, სამყაროს არსზე და ხვდებოდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. რომ საჭირო იყო, გასაქანი მისცემოდა თავის შინაგან ძალებს. ამისათვის კი ეს ბნელი სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობდა, სრულიად გამოუსადეგარი იყო. ხოჭოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა. ამის საშუალება ადრეც ჰქონდა, როცა ნოტებთან ერთად კონსერვატორიის სამკითხველო დარბაზში აღმოჩნდა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მატლი იყო და ძლიერ შეეშინდა უზარმაზარი ნათელი სამყაროსი. ახლა კი ხშირად უბრუნდებოდა თავის ფიქრებში იმ უცნაურ და მისთვის ამოუცნობ ადგილს, სამყაროს, რომელიც სავსე იყო მოულოდნელობებითა და ფათერაკებით.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ზრდასრული, მაგრამ კვლავ პატარა ხოჭოს ცხოვრებაში. ერთხელაც, ისევ აღმოჩნდა სამკითხველო დარბაზში. ულვაშების ცაცუნით, ფრთხილად გამოყო თავი ნოტების ფურცლებიდან. ირგვლივ მიმოიხედა და შორიახლოს ძველი ნიანგის ტყავის პორტფელი შენიშნა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა. შემდეგ, მთელი თავისი ძალები მოიკრიბა და პორტფელისაკენ გავარდა. როდესაც პორტფელს მიუახლოვდა, ზუსტად თავისი შესაფერისი ხვრელი აღმოაჩინა...

ჯერ თავისი ახალი ბინა მოირგო. მერე კი, როდესაც მოშივდა, ბინას კარი გაუკეთა. ამ კარის საშუალებით, პორტფელის შიდა განყოფილებაში გადადიოდა, სადაც უამრავი ქაღალდი ეწყო ბატიფეხური ნაწერებით – ნოტებით. ფრთხილად გაუსინჯა გემო ნოტებს. მას არ მოეწონა ეს მუსიკა, გადამლაშებული მოეჩვენა. როდესაც დანაყრდა, თავის ახალ ბინას პაწაწინა ფანჯარაც გაუკეთა. უკეთესს ვერც ვერაფერს ინატრებდა საშუალო სტატისტიკური, ზრდასრული ხოჭო. იგი თან ერთ ადგილას იყო, ანუ თავის ბინაში და თან განუწყვეტლივ მოგზაურობდა. საკვებიც უხვად ჰქონდა.

დრო გადიოდა. პატარა ხოჭოს ცვლილებებთან დაკავშირებულმა ეიფორიამ გადაუარა. ჩვეულმა გრძნობებმა კვლამ წამოყვეს თავი. მას ისევ მოაწვა სევდა. ხოჭო ადგილს ვერ პოულობდა. აღარ იცოდა, რა ექნა. თავის უკანა ფეხებს ნერვიულად უსვამდა პატარა ფრთებს და უცნაურ ხმადაბალ ხმებს გამოსცემდა.

* * *

ისევ სავსემთვარიანი ღამე იყო. ჟორა როიალთან იჯდა ჩაფიქრებული. იდაყვები ინსტრუმენტზე ედო და დამძიმებული თავი ხელებით ეკავა. უეცრად კომპოზიტორის მგრძნობიარე სმენას რაღაც მელოდია მოესმა. ეს იმდენად უცნაური ხმები იყო, რომ მათ ვერც ერთი ინსტრუმენტი ვერ გამოსცემდა. თანაც ძალიან ხმადაბალი. ეს უთუოდ მისი შინაგანი ხმა იყო, რომელიც მშვენიერ მელოდიას კარნახობდა. ამ საღამოს ჟორას მუსიკაში რაღაც უცნაური, ახალი ხმოვანება გაჩნდა. მისი ოთახის მიღმა, მეზობლებიც კი გაკვირვებულნი უსმენდნენ იმ მშვენიერ მუსიკას, რომელსაც ჟორა ჰქმნიდა. ჟორა კმაყოფილი ჩანდა. ასეთი მუსიკა მას ჯერ არასოდეს არ დაუწერია. ამ საღამოს შემდეგ, სავსემთვარიან ღამეს, ჟორას სულ უფრო ხშირად ესმოდა თავისი შინაგანი ხმა. ხოჭოც კმაყოფილი იყო. ჯერ ერთი, მან ისწავლა როგორ დაეძლია მოწოლილი სევდა და მისმა შინაგანმა სამყარომ კვლავ იპოვა დაკარგული წონასწორობა. მეორეც, ყოველი ასეთი კონცერტის შემდეგ ნიანგის ტყავის პორტფელში სულ უფრო გემრიელი ნოტები ჩნდებოდა.

დრო დაუღალავად მიაბიჯებდა წინ და თავისი კორექტივები შეჰქონდა ჟორასა და ხოჭოს ცხოვრებაში. მეზობლების გარდა, ჟორას მუსიკით სხვებიც დაინტერესდნენ. ჟორა ნელ-ნელა პოპულარული კომპოზიტორი ხდებოდა. ახლა მისი მუსიკა მთელ ქალაქში ისმოდა. მუსიკა კაფეებიდან, სახლების ფანჯრებიდან იღვრებოდა. თავიდან ჟორა დაბნეული ჩანდა, თითქოს ერიდებოდა კიდეც პოპულარობა, მაგრამ ნელ-ნელა გემო გაუგო ახალ ცხოვრებას. მას აღარც თავისი როიალი მოსწონდა – ახლის ყიდვა გადაწყვიტა. თავისი ბინაც ძალზე პატარა და ახალი სტატუსითვის შეუფერებელი მოეჩვენა. რაც მთავარია, პირველ რიგში, ახალი პორტფელის ყიდვა გადაწყვიტა.

დრო მიდიოდა და ჟორამ, მართლაც, აისრულა სურვილები – ახალი როიალი, ახალი ბინა და ახალი პორტფელი, მაგრამ ბაბუის ნაანდერძევ პორტფელთან ერთად მის მუსიკაში გაქრა ის ხმოვანება, რომელიც ყველას ხიბლავდა. მართალია, ეს ბევრმა მსმენელმა ვერც კი შენიშნა. აღარც ჟორას ჰქონდა იმის დრო, რომ რამე შეენიშნა, მას აღარც თავისი შინაგანი ხმა ესმოდა. ჟორას მუსიკას მაინც ყველა უსმენდა – ის ხომ პოპულარული კომპოზიტორი იყო, ყველაფერი ინერციით მოძრაობდა.

ხოჭო კი, ნიანგის ტყავის პორტფელთან ერთად, ქალაქის ნაგავსაყრელზე აღმოჩნდა. ყველასგან მივიწყებული მარტოობაში გატაარა დარჩენილი ცხოვრება. ნახევრად მშიერი იშვიათად თუ წააწყდებოდა სადმე გემრიელ მუსიკას. სავსემთვარიან ღამეს კი იჯდა ხოლმე მოწყენილი ნაგვის გროვაზე და სევდიანი შესცქეროდა მთვარეს...

სწორი დიაგნოზი ჩატბოტმა დაუსვა

აშშ-ში, ChatGPT-მა სწორი დიაგნოზი დაუსვა 7 წლის ალექსს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში, ქრონიკური ტკივილები სტანჯავდა, რომლის ზუსტი მიზეზი მედიკოსებმა ვერ დაადგინეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, როცა ბავშვი 4 წლის იყო, მას თავის ქრონიკული ტკივილები დაეწყო. პატარა მას მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლებით ებრძოდა. მალე ბიჭს პრობლემები შეექმნა სუნთქვასთან, ზრდასთან და ზედმეტ წონასთან დაკავშირებითაც. ალექსის დედამ შვილი 17 სხვადასხვა სპეციალობის ექიმს – პედიატრიდან დაწყებული, სტომატოლოგის ჩათვლით გაასინჯა, მაგრამ ბავშვს დიაგნოზი ვერცერთმა დაუსვა – თითოეული ექიმი სიმპტომებს საკუთარი სპეციალობის ჭრილში განიხილავდა და ავადმყოფობის შესახებ სრული წარმოდგენა ვერ შექმნეს.

წლის დასაწყისში, ქალი ChatGPT-ზე დარეგისტრირდა და ჩატბოტს ბიჭის სიმპტომები და კვლევების შედეგად მიღებული ყველა ინფორმაცია მიაწოდა. ხელოვნურმა ინტელექტმა ალექსს იშვიათი დიაგნოზი დაუსვა – თანდაყოლილი დეფექტი, რომლის დროსაც, ხერხემალი არასრულად იხურება და ზურგის ტვინის მალფორმაცია. ბიჭს ოპერაცია ჩაუტარდა და თავი დააღწია დაავადებას. კვლევები ცხადჰყოფს, რომ შემთხვევათა 72%-ში, ჩატბოტი სწორ დიაგნოზს სვამს.

ალკოჰოლიზმს ვაქცინა უშველის

სწავლულებმა აშშ-დან, ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნეს, რომლის ერთი მიღებითაც კი, ადამიანი ამ საშიში დამოკიდებულებისგან განიკურნება. ორგანიზმში, სიამოვნების შეგრძნებაზე პასუხისმგებელი დოფამინი, იგივე „სიხარულის ჰორმონია“. ალკოჰოლის მიღებისას, მისი დონე მატულობს, რაც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. დროთა განმავლობაში, ტვინი ადაპტირდება და დოფამინის გამოფრქვევა ნაკლებად გამოხატული ხდება. ადამიანიც უმატებს ალკოჰოლის დოზას, რომ კვლავ მიიღოს შეჩვეული სიამოვნება და შედეგად, სასმელზე დამოკიდებული ხდება.

მკვლევარებმა მიაგნეს მეთოდს, როგორ აღადგინონ დოფამინის დონე ალკოჰოლის მიღების გარეშე. ექსპერიმენტებისას, მათ გაარკვიეს, რომ ამ ჰორმონზე პასუხისმგებელი ზედმეტი GDNF-ის გენის შეყვანით, ერთი თვის შემდეგ, „ალკოჰოლიკმა“ მაიმუნებმა სასმელის მიმართ ინტერესი დაკარგეს და მისი მოხმარება 90%-ით შეამცირეს. გენის შესაყვანად სწავლულებმა ადენოვირუსი გამოიყენეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ალკოჰოლურ დამოკიდებულებასთან საბრძოლველად, სულ ერთი ინექციის გაკეთება იქნება საჭირო, თუმცა ვაქცინის ეფექტურობა ჯერ ხანგრძლივი კლინიკური ცდებითაც უნდა დადასტურდეს.

ქალმა კონცერტზე იმშობიარა

ამერიკული გამოცემა Page Six-წერს, რომ ქალმა ბავშვი 50 Cent-ის კონცერტზე გააჩინა. მათი ინფორმაციით, შემთხვევა ვაშინგტონის შტატში მოხდა. როდესაც ქალს ტკივილები დაეწყო და ცუდად გახდა, მასთან არენაზე მორიგე ექიმები მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ რეპერის მოყვარული ქალბატონი უკვე მშობიარობდა და მის კლინიკაში გადაყვანას ვეღარ მოასწრებდნენ. მედიკოსებმა ზეწრებით დარბაზის ნაწილი გადაკეტეს, რომ ცოტათი მაინც, მშობიარესთვის კომფორტი შეექმნათ. ქალმა გოგონა გააჩინა, დედა-შვილი სავადმყოფოში გადაიყვანეს და როგორც ექიმები ამბობენ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ძველი შენობების ფრაგმენტები ამსტერდამელებისთვის

ნიდერლანდების დედაქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ადგილობრივებს უფასოდ დაურიგოს ძველი შენობების ელემენტები, რომელთაც საქალაქო საწყობებში მტვერი ედებათ. ვინტაჟური აგურები, გერბები, ორნამენტები იქ გამოსაყენებლად უვარგისი და ავარიული შენობების დანგრევის შედეგად მოხვდა. „ამ ელემენტებს კულტურულ-ისტორიული და სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. მათი დაბრუნება ამსტერდამის პეიზაჟებში ქალაქის იდენტობას კიდევ უფრო გამოკვეთს“, – მიაჩნიათ მერიაში.

ვისაც სურვილი აქვს, ფრაგმენტი წაიღოს, უნდა წარადგინოს აღწერა, როგორ აპირებს ამ მემკვიდრეობის გამოყენებას. ფრაგმენტები შეიძლება ახალი სახლების მშენებლობისას, რეკონსტრუქციისას, ან საჯარო არტ-პროექტების შექმნისას გამოიყენონ.

ვირუსებს „ჭკვიანი ქსოვილი“ გაანადგურებს

ამერიკელმა სწავლულებმა, რაისის უნივერსიტეტიდან, ახალი ქსოვილი შექმნეს, რომელსაც ვირუსების განადგურება შეუძლია. მისი გარეთა მხარე ძლიერ ცხელდება, შიგნით კი გრილი რჩება. ეს კომპოზიტური მასალა, ტექსტილის საფუძველზე, ჯოულის გათბობას იყენებს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ასეთი ქსოვილით შესაძლებელია შეიქმნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მაგალითად, ხელთათმანები. ეს საშუალებას მოგვცემს, უარი ვთქვათ ერთჯერად ნაწარმზე, რომელიც ხშირად უნდა გამოიცვალოს და თან, გარემოსაც აბინძურებს.

უხუცესი მოტომრბოლელი 97 წლისაა

ახალზელანდიელი ლესლი ჰარისი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც უხუცესი მოტომრბოლელი. ლესლიმ ოკლენდში გამართულ მოტომრბოლელების ყოველწლიურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ეს ღონისძიება მის 98-ე დაბადების დღემდე, რამდენიმე კვირით ადრე შედგა. მოხუცთან ერთად, რბოლაში მისი 64 წლის ვაჟი როდი და 21 წლის შვილიშვილი, ოლივიაც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჰარისმა ფინიშის ხაზი ოჯახის წევრებზე ადრე გადაკვეთა: ოლივია 21-ე იყო, როდი – მე-8, ლესლი კი ფინიშთან მე-4 მივიდა. რეკორდსმენმა შეჯიბრში პირველად მონაწილეობა 1953 წელს მიიღო, 2019 წელს, 93 წლის მოხუცი ახალი ზელანდიის რბოლაშიც გამოვიდა, თუმცა ამის შემდეგ, თეძოზე ჩატარებული ოპერაციის გამო, გარკვეული პერიოდი მოტოციკლის მართვა აკრძალული ჰქონდა. ლესლი იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე, კიდევ რამდენიმე შეჯიბრში შეძლებს მონაწილეობას.

სიყვარულის შეგრძნებების რუკა შექმნეს



ფინელმა სწავლულებმა, აალტოს უნივერსიტეტიდან, შეადგინეს რუკა, რომელიც გვიჩვენებს, ადამიანის სხეულის რა ადგილას შეიგრძნობა სიყვარულის სხვადასხვა სახეობა. მათი უმრავლესობა აშკარად გამოჩნდა თავში, თუმცა ამ გრძნობამ სხვა ორგანოებიც მოიცვა. მკვლევარებმა სიყვარულის 27 ტიპი გამოყვეს: რომანტიკული, სექსუალური, მშობლიური, საკუთარი თავის სიყვარული და სხვა. ექსპერიმენტის ასობით მონაწილეს კი სთხოვეს დაეხატათ, სად გრძნობდნენ სიყვარულს. შედეგებმა აჩვენა, რომ სიყვარულის უმრავლესი სახეობა ტვინში აისახება, თუმცა სხვა ორგანიებიც აქვს „ჩათრეული“. მაგალითად, დედობრივი სიყვარული ძლიერად იგრძნობა გულშიც. სიყვარულის ყველაზე ძლიერი ფორმები ფართოდ შეიგრძნობა მთელ სხეულში.

ბოტოქსი დეპრესიასაც შველის

ბევრისთვის ცნობილია, რომ ბოტოქსი – გასუფთავებული და შესუსტებული ბოტულიზმის „ა“-ტიპის ნეიროტოქსინისგან დამზადებული პრეპარატია, რომლის გამოყენებაც 1980 წლიდან დაიწყო. სინამდვილეში, ეს ნივთიერება უძლიერესი ორგანული შხამია, რომელმაც საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრისას, შეიძლება მძიმე ტოქსიკური დაზიანება – ბოტულიზმი გამოიწვიოს. თუმცა, ამის მიუხედავად, დღესდღეობით, სპეციალური დოზებით, ბოტულინის ტოქსინი ფართოდ გამოიყენება ესთეტიკურ მედიცინაში. ის ასევე ეფექტურია შაკიკის, კუნთების სპაზმის, ჰიპერჰიდროზისა და შარდის შეუკავებლობის მკურნალობის დროს. ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ბოტოქსის ინექციამ, შესაძლოა, დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომებიც შეამციროს. კვლევებით დადგინდა, რომ ბოტოქსის მიმღებ პაციენტებში შფოთვის რისკი 22-27%-ით დაბალია.

ვაშლი – კბილების მტერი?

ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მიყენების მხრივ, ვაშლი ოთხჯერ (!) აღემატებ ტკბილ, გაზიან სასმელებს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერომენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის 1 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც ვაშლს ჭამდნენ, ემალის დაზიანების ალბათობა 3.7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ. კბილებზე მავნე ზემოქმედებით ვაშლი ლუდზეც კი უარესი ყოფილა – ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს „მხოლოდ“ სამჯერ ზრდის. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ხილი ადამიანის საერთო ჯანმრთელობისთვის მართლაც სასარგებლოა, მაგრამ კბილებისთვის საზიანოა. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად და ნელ-ნელა მიირთმევთ, მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, ხილის ზოგიერთი ჯიში 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის. მის დასაწევად ერთი ჭიქა წყალი გამოგადგებათ, თუკი ვაშლის მირთმევისთანავე დალევთ.

პიცა – საუკეთესო აფროდიზიაკი

ნევროლოგმა ალან ჰირშმა იმ პროდუქტების სია შეადგინა, რაც მამაკაცს ყველაზე მეტად აღაგზნებს. მისი თქმით, პირველ რიგში, ასეთ საკვებს მიეკუთვნება შოკოლადი, პიცა და საქონლის შემწვარი ხორცი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ შოკოლადის სურნელი მამაკაცს არა მხოლოდ რომანტიკულ განწყობზე აყენებს, არამედ სუსტი სქესის წარმომადგენლებიც კი მათთვის უფრო მომხიბვლელები ჩანან. პიცისა და შემწვარი ხორცის არომატი კი სისხლის მიმოქცევას აძლიერებს. აფრიდიზიაკების სიაში აღმოჩნდა აღმოსავლური სანელებლები, კოლა, კრემიანი ღვეზელები, „პოპკორნი“ და გოგრის ღვეზელი. ექსპერიმენტებისას, გოგრის ღვეზელისა და ლავანდის სურნელი იდეალური შერწყმა აღმოჩნდა, ასეთი ეფექტი ქალის არც ერთ სუნამოსაც კი არ აღმოაჩნდა.

გერმანელები „დროის პირამიდას“ აშენებენ

გერმანიის სახმრეთით მდებარე ქალაქ ვედმინგში, „დროის პირამიდის“ მშენებლობა დაიწყეს. ის ადგილობრივი მხატვრის, მანფრედ ლაბერის პროექტია, რომელიც უნდა დასრულდეს... 3183 წელს. პირამიდა 120 ბეტონის ბლოკისგან იქნება შემდგარი, რომელსაც ათწლეულში ერთხელ, 1993 წლიდან მიამატებენ ხოლმე. შედეგად, მასშტაბური ნაგებობა გამოვა, რომლის სიმაღლეც 7 მეტრი იქნება. პროექტის იდეის ავტორი მხატვარი 2018 წელს გარდაიცვალა, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ, ქალაქის ხელისულებამ დააფუძნა ფონდი ვემდინგის „დროის პირამიდა“, რათა ხელოვნების ეს ნიმუში დააფინანსონ. პროექტი სხვადასხვა თაობებზე დროის გავლენას იკვლევს. ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები აცხადებს, რომ 1993 წლიდან, ბეტონის ბლოკის დადების ყოველ ცერემონიას ესწრება.

მხატვარს მუზეუმისთვის ფულის დაბრუნება მოუწევს

დანიის სასამართლომ დაადგინა, რომ მხატვარმა იენს ჰანინგმა უნდა დააბრუნოს 70 ათას დოლარზე მეტი, რომელიც მან კიუნსტენის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისგან ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად მიიღო. გამოფენის კურატორებს სურდათ, ხილულად წარმოეჩინათ განსხვავება შრომის ანაზღაურებაში ავსტრიასა და დანიაში. ჰანგინგს ტილოსთვის ფულის რეალური კუპიურები უნდა მიემაგრებინა, თუმცა მუზეუმმა მხატვრისგან ხის ჩარჩოში ჩასმული ორი ცარიელი ტილო მიიღო. წინასწარი მოლაპარაკებით, ჰანგინგს უფლება ჰქონდა ეს კუპიურები მხოლოდ გამოფენის დასრულების შემდეგ აეღო. ხელოვანი აცხადებს, რომ მისი ეს საქციელი თავად იყო მხატვრული აქცია, სახელწოდებით, „აიღე ფული და გაიქეცი“ და ამიტომ, მის მიმართ პრეტენზიები უადგილოა. თუმცა, სასამართლომ სხვაგვარად გადაწყვიტა და მხატვარს თანხის მუზეუმისთვის დაბრუნება მოუწევს.

მოზარდი ყველაზე გრძელი თმით

15 წლის ბიჭმა, მოზარდებს შორის, თმის სიგრძეში, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მას სიდაკ სინგჰ ჩახალი ჰქვია. ბიჭს თმა ცხოვრებაში არასოდეს შეუჭრია და ამბობს, რომ ამას არც არასოდეს აპირებს. ახალგაზრდა ინდოელი გინესის რეკორდების წიგნის 2024 წლის გამოცემაში შევა. მისი თმის სიგრძე 146 სანტიმეტრს შეადგენს, რაც მოზარდ ბიჭებში აბსოლუტური რეკორდია. რეკორდსმენს თავის დაბანა და თმის გაშრობა კვირაში ორჯერ უხდება და ამ პროცესში ახლობლების დახმარება სჭირდება. როგორც გაირკვა, მოზარდი თმას იმიტომ იზრდის, რომ ის სიგჰია (სიგჰიზმის მიმდევრებს თმის შეჭრას რელიგია უკრძალავს). გარდა იმისა, რომ სიდაკი დიდ დროს ხარჯავს თმის მოვლაზე, ის ჩვეულებრივი ბიჭივით ცხოვრობს: სწავლობს, ვარჯიშობს, ბევრს კითხულობს და ვიდეო-თამაშებითაც ერთობა.

„ვიაგრა“ ალცჰაიმერის წინააღმდეგ

ყველასათვის ცნობილი, იმპოტენციის საწინააღმდეგო პრეპარატი „ვიაგრა“, შესაძლოა, ალცჰაიმერის დაავადების სამკურნალოდ გამოიყენონ. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, კლივლენდის უნივერსიტეტის სწავლულებმა 7.2 მილიონი ადამიანის ექვსწლიანი სამედიცინო ისტორია შეისწავლეს და დაადგინეს, რომ „ვიაგრას“ მომხმარებლებს შორის, ალცჰაიმერის დაავადების შემთხვევები გაცილებით იშვიათად ფიქსირდება. კვლევებისას სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ „ვიაგრის“ მაღალი დოზები ტვინის უჯრედების ზრდას იწვევს. როგორც მეცნიერები აცხადებენ, კვლევის შედეგები დამაიმედებელია, თუმცა პრაქტიკაში მათი გამოყენებისთვის დამატებითი ტესტების ჩატარებაა საჭირო. ამასთან, მკვლევარების თქმით, უკვე არსებული მედიკამენტის ახალი დანიშნულებით გამოყენება გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე დაავადების სამკურნალოდ ახალი პრეპარატის შექმნა.

ნახშირწყლები უძილობას იწვევენ

შეიძლება, ძილის სურვილი გაგიქრეთ, თუ თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს სწავლულებმა, კოლუმბიის უნივერიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის რეგულარული მოხმარება სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევს. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოჰყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ შეიძლება, ჰორმონების გამოტყორცნა გამოიწვიოს, როგორიცაა კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50 ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგებით მედიკოსები შეძლებენ, პაციენტების უძილობისგან განსაკურნებლად, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მეთოდები მოძებნონ.

ეკო-პლასტმასი შექმნეს

ჩინელმა სწავლულებმა ეკოლოგიურად სუფთა, უნიკალური პლასტმასი შექმნეს. ბიოდეგრადირებადი მასალა ორაგულის სპერმისა და მცენარეული ზეთისგან მზადდება. სპეციალისტებმა თევზის სპერმის დნმ-ის ორი მოკლე ჯაჭვისა და ზეთისგან დამზადებული ქიმიკატის შერწყმა შეძლეს. ამ შემთხვევაში, მცენარეული ზეთი ერთგვარი „წებოს“ როლს ასრულებს. ამ კომბინაციის შედეგად, სწავლულებმა რბილი კონსისტენციის მასალა მიიღეს, რომელიც ჰიდროგელს წარმოადგენს. ამის შემდეგ, გელი ფორმებში იდება და იყინება. ეს ხელს უწყობს პლასტმასისგან ზედმეტი ტენიანობის მოცილებას. გაგრილების შემდეგ მიღებული მასალა პლასტმასის კონსისტენციას იღებს.

ადამიანი 38 წელს უნდა ცოცხლობდეს?

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ პირობებში, 38 წელს შეადგენს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიის ნაციონალური სამეცნიერო სააგენტოს სწავლულები. მათ შეიმუშავეს „საათის“ გენეტიკური მოდელი, რომელსაც შეუძლია შეაფასოს სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა სხვადასხვა ხერხემლიანების, როგორც ცოცხალი სახეობების, ასევე, გადაშენებულების. მკვლევარებმა შემდეგ გააანალიზეს 250-ზე მეტი სახეობის მონაცემები, რათა 42 გენის იდენტიფიცირება მოეხდინათ. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მაგალითად, გრენლანდიურ ვეშაპს შეუძლია 268 წლამდე იცოცხლოს, რაც 60 წლით მეტია, ვიდრე ადრე მიიჩნევდნენ. ადამიანის გენომის გამოყენებით კი, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის სოცოცხლის მაქსიმალური ბუნებრივი ხანგრძლივობა, სულ რაღაც 38 წელს შეადგენს. უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს ადამიანი მეცნიერებისა და მედიცინის განვითარებას უნდა უმადლოდეს.

განდეგილებს რობოტებს დაურიგებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში სწრაფად იზრდება ჰიკიკომორის – იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც საკუთარი ნებით უარს ამბობენ სოციალურ ცხოვრებაზე და მუდმივად განმარტოებას ცდილობენ. ახალი რობოტი, რომელსაც OriHime უწოდეს, იმისთვის შეიქმნა, რომ ასეთ განდეგილებს სოციალური ურთიერთობა აუწყოს. მომხმარებელი რობოტის მართვას ტელეფონიდან აპლიკაციით შეძლებს, რისი წყალობითაც ის, სახლიდან გაუსვლელად, გარე სამყაროს დაუკავშირდება. რობოტი სულ 25-სანტიმეტრიანია, თეთრი ფერის, მწვანე თვალებით. აღჭურვილია ხელებით, რომელსაც ლაპარაკისას ამოძრავებს. ამ „ჭკვიანი მანქანით“ ექსპერიმენტი პირველად კობეს პრეფექტურაში დაიწყეს – დამხმარე რობოტებს სოციალური იზოლაციის მსურველ ადამიანებს დაურიგებენ. ჰიკიკომორის რაოდენობის ზრდა იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გაჩნდა კიდეც ეს ტერმინი. ამ პრობლემამ ახლა კვლავ იჩინა თავი, რასაც ხელი კორონაპანდემიამაც შეუწყო – გაიზარდა თვითმკვლელობებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების რიცხვი.

პირველი მუზეუმი ცაში

არქეოლოგიური ექსპოზიცია ავიაკომპანია Saudi Arabian Airlines-ის თვითმფრინავშია განთავსებული, გამოფენის მნახველები კი მგზავრები არიან. ავიალაინერის ბორტზე განთავსებულია არტეფაქტების ასლები, რომელიც გათხრებისას, ალ-ულეში აღმოაჩინეს. ექსპოზიცია რეგიონის ისტორიის საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს. ფრენისას მგზავრებს სთავაზობენ Discovery Channel-ის დოკუმენტურ ფილმს „უძველესი არაბეთის არქიტექტორები“. იდეის ავტორების თქმით, მუზეუმი თვითმფრინავში – ეს მეთოდია, რითაც ყურადღება უნდა მიექცეს ამ რეგიონში არქეოლოგიურ სამუშაოებს და მიიზიდოს ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. უჩვეულო ექსპოზიციის შექმნის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმების ჩამონათვალში მოხვდება.

რესტორანმა მამაკაცი „შავ სიაში“ შეიყვანა

მისტერ კინგის სახელით ცნობილი ჩინელი მამაკაცი აცხადებს, რომ ქალაქ ჩანშაში მდებარე ბარბექიუ-რესტორანმა ის „შავ სიაში“ შეიყვანა და სტუმრობა აუკრძალა, რადგან მას ბევრი ჭამა შეუძლია. ეს რესტორანი მომხმარებლებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ნებისმიერი ოდენობის კერძის მირთმევის უფლებას აძლევს. თუმცა, როგორც ჩანს, მისტერ კინგი გამონაკლისი აღმოჩნდა. ეს ადამიანი თავისი ჭამის ვიდეოებითაა ცნობილი. მისი თქმით, პირველი სტუმრობისას, 1.5 კილოგრამი ღორის ხორცი შეჭამა, შემდეგ ვიზიტზე – 4 კილოგრამამდე კრევეტები მიირთვა. ის რესტორანს დისკრიმინაციაში ადანაშაულებს. დაწესებულების მფლობელის თქმით კი, მისტერ კინგის ყოველი სტუმრობისას, რესტორანი რამდენიმე ასეულ იუანს ზარალობს. მაშინაც კი, როცა მარტო რძეს სვამს, ის 20-20 ბოთლს ერევაო. ამბავმა ჩინური სოცქსელები მოიცვა. ზოგი რესტორნის მეპატრონეს მხარს უჭერს, ბევრი კი აცხადებს, რომ თუ დაწესებულებას შესაბამისი რესურსი არ აქვს, ასეთი აქციები არ უნდა ჩაატაროს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.